წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და ფასიბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ უფალი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

ბანცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანას კნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 79 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 79

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ

სახელმწიფო თეატრში

დანიშნულია

საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება

ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად

სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.

1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი { ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

იმავე დღეს საღამოს იმავ თეატრში

სადღესასწაულო წარმოდგენა

(12—645—2)

სახალხო სახლი

პარასკევს, 14 აპრილს, ქართულ დრამატიულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილის

ლალარი

დრამა-ლეგენდა, 5 მოქ. თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ჭ-ნნი: ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. მატარაძისა, პ. შოთაძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედეონოვი, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, გ. სალაძე, ი. თარალაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. მსახიობთა ამხანაგობისა.

(3—648—1)

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს,

რომ თანახმად „დროებით მთავრობის უწყებებში“ და თბილისის გაზეთებში მოთავსებულ განცხადებისა, აქციონერთა მიერ მეორე ნახევრის შემოსატან ფულის ვადა თავდება 15 აპრილს და რადგან ზედმეტ აქციების მოთხოვნილება არის, რაც ძირითად თანხას აღემატება (3.000,000 მ.), ამიტომ როგორც ახალ აქციონერების ისე ძველების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება 15 აპრილის შემდეგ, რისთვისაც უნდა მიმართონ მხოლოდ გამგეობას (თბილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა, სახლი თბ. სათ.-აზნაურო ბანკისა). 10—2 საათამდე

ეძიმე **ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოპანეზოვისა).

მოსკოვის სახელმწიფო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორიგე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—8 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

ეძიმე **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე

ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ეძიმე კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ეძიმე **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლდას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

იყიდება

სახლი იარმუკაზე, რუსის, ბარონის, ნერსესოვის და დიდ ვანქის ქუჩების მახლობლად. იკითხეთ: პეტროგრადის ქუჩა № 8, ბინა 2.

(3—583—3)

ეძიმე **მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიუზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი ვლადიმერ

ქალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და კანიერ-ვენერიულ სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს: ოლდას ქ. № 3

ეძიმე **ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

კარლსონის ახალდიანისა

ეძიმე **ივანე თიკანაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

ამიერ კავკასიის ახალი მთავრობის პროგრამა

ამიერ კავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა თავისი სამოქმედო პროგრამა. ამით დასრულდა გამოურკვეველი მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა ახალი მთავრობის კომისარიატის ხელში იყო გადასული და საზოგადოება კი არ იცნობდა ამ მთავრობის სამოქმედო გეგმას. რასაკვირველია, თვით კომისარიატის შემადგენლობა და ის მოვლენა, რომ კომისარიატი კავკასიაში რევოლიუციონური მთავრობის მოსაწყობად გამოიგზავნა, თავისთავად თავმდები იყო, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი მმართველობა ახალი, რუსეთის რევოლიუციის ნაკარნახევი გზით უნდა წასულიყო. არც ხანი გასულა დიდი კომისარიატის დეკლარაციის გამოსვლამდე. ჯერ კიდევ ერთი თვე არ შესრულებულა, რაც ახალი მთავრობის წარმომადგენელნი ესტუმრნენ ჩვენს ქვეყანას და მისი მმართველობა ჩაიბარეს. თუ საზოგადოება, მიუხედავად ამისა, კომისარიატის სიტყვას ასე მოუთმენლად ელოდა, ეს იმით აიხსნება, რომ რევოლიუციონური პოლიტიკა წუთობით იცვლება და დაჩქარება, მოუთმენლობა რევოლიუციის თვისებას შეადგენს.

ამიერ კავკასიის კომიტეტის სამოქმედო გეგმა პასუხს არ გვაძლევს იმ მთავარ კითხვაზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დიდი ხანია წამოაყენა რუსეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკის გადასაჭრელად. ეს არის ეროვნული საკითხი.

ყოველგვარი მოქალაქეობრივი თავისუფლებანი და ჩვენი ქვეყნის ყოველივე პოლიტიკურ-სოციალური ხასიათის რეფორმა ამ მთავარ საკითხზე არის გადაბმული და გადაჯაჭვული. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივი განვითარება მხოლოდ იმ დღიდან დაიწყება, როდესაც საქართველოს ეროვნული უფლებები აღდგენილი იქნება და ქართველ ერს თავისი შინაური ცხოვრების მოწყობის საშუალება მიეცემა. ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ რუსეთის რევოლიუცია და ახალი მთავრობის პოლიტიკური შემოქმედება ჩვენს ქვეყანას სწორეთ ამ გზით მიუძღვება.

რუსეთის ახალი მთავრობის მარტის მეექვსე დღის დეკრეტი და ამიერკავკასიის დღევანდელი დეკლარაცია ამის შესახებ გარკვეულს პასუხს არ იძლევა. ეროვნებათა თანასწორობა და ეროვნულ შევიწროებათა მოსპობა პიროვნების მოქალაქეობრივი უფლებების ნაწილს შეადგენს, პიროვნების თავისუფლებას შეიცავს. ასეთი თანასწორობა არამც თუ არ სწყვეტს რუსეთის ეროვნებათა საკითხს, არამედ მას არც კი აღძრავს. რუსეთის რევოლიუციის განვითარება ეროვნებათა პოლიტიკურ უფლების აღიარებას მოითხოვს და რევოლიუციის პოლიტიკური კურსი სწორედ ამ საკითხის გადაჭრას უნდა შეუდგეს.

შესაძლოა თუ არა ეხლავე, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ეროვნებათა პოლიტიკური უფლებების განხორციელება, ეს სხვა საკითხია. ამბობენ, რომ ეს რევოლიუციონურ ძალებს დაქსაქსავს, რომ ეროვნულ უფლებათა ეხლავე განხორციელება რუსეთის ერთა შორის უთანხმოებას და დავას გამოიწვევს და სხვა. მეორეს მხრით რუსეთის ზოგიერთი ეროვნება მშვიდათ და წყნარად შეუდგა თავის ეროვნულ უფლებების განხორციელებას და ამას რაიმე უთანხმოება და ძალთა დაქსაქვა სრულებითაც არ გამოუწვევია. რასაკვირველია, ეს ეროვნებებიც ამ ჟამად ყველა თავის უფლებებს ვერ განახორციელებენ. სადაო საკითხების საბოლოო გადაჭრა და დადასტურება კანონმდებლობის გზით მოხდება. ესენი ჰფიქრობენ, რომ მშობლიურ ენისა, სკოლის, სამართლის და ეკლესიის საკითხები ასეთს რთულ და სადაო კითხვებათ არ ჩაითვლება. მართალია პირველი მოსაზრება, თუ მეორე, რომელიც ზოგიერთ ეროვნულ უფლებათა განხორციელებას მოითხოვს აქედანვე, დროებით რევოლიუციონერი მმართველობის დამყარებასთან ერთად, ჩვენ ამას არ შევეხებით.

მივიღებთ პირველ მოსაზრებას, თუ მეორეს, ერთი რამ უნდა მივიჩნიოთ უდავოდ: როდესაც ახალი მთავრობა ექვეყნებს ყველა თავის პოლიტიკურ პრესპექტივებს, როდესაც ის აუშკარავებს უმთავრეს პოლიტიკურსა და სოციალურს ცვლილებებს და რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილების წესს იმუშავებს, მან უნდა გამოაქვეყნოს თავისი შეხედულება რუსეთის ეროვნებათა პოლიტიკურ უფლებების შესახებ. ახალი მთავრობის მიერ ეროვნებათა პოლიტიკური უფლებების აღიარებას დაე ზოგადი და დეკლარაციული ხასიათი ჰქონდეს. იყოს ახალი მთავრობის პოზიცია ეროვნულ უფლებებთა აქედანვე განხორციელების გარკვეულად წინააღმდეგი. რევოლიუციონური მთავრობის თვით შემცდარ ნაბიჯებსაც ქვეყანა ვალდებულია ერთგვარის მორჩილებით შეხვდეს. რუსეთის იმპერიის არც ერთი ეროვნება არ მოინდომებს თავის უფლებების აქედანვე განხორციელებას, რაც უნდა უდავო და უმანკო იყოს ეს უფლებები, თუ ეს რუსეთის რევოლიუციონურ ძალთა არამც თუ დაქსაქვას და დასუსტებას, არამედ მცირე შეფერხებას გამოიწვევს. მაგრამ ეს გარემოება რუსეთის ახალს მთავრობას სრულებით არ ანთავისუფლებს ერთი ვალდებულებისაგან. ამ ვალდებულებას მას აკისრებს თვით რუსეთის რევოლიუცია. როდესაც ის რუსეთს უხატავს სახელმწიფოებრივ თავისუფლების სურათს და აღუთქვამს მას ყოველგვარ თავისუფლებებს, ეროვნებათა უფლებები არ უნდა იყოს დავიწყებული. ახალმა მთავრობამ გამოსთქვა თვისი შეხედულება სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველს საგანზე. ჩვენ არ ვიცით მისი აზრი ეროვნულ უფლებათა შესახებ. ახალმა მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს თავისი პოზიცია რუსეთის ერთა უფლებების შესახებ.

ამიერ კავკასიის კომისარიატმა სამწუხაროდ ვერ შეავსო ეს ნაკლი. ამიერ კავკასიის კომისარიატის განცხადება ებება მოქალაქეობრივ თავისუფლების განმტკიცებას, გვპირდება ერობის შემოღებასა და სხვა რეფორმებს, მაგრამ ეროვნულ უფლებების შესახებ არავითარ პასუხს არ გვაძლევს. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისარიატი რევოლიუციონური მთავრობის კურსის ამ ნაკლის შევსებას შეეცდება და აცნობებს ჩვენს საზოგადოებას თავის აზრს ერთა უფლებების შესახებ. ეროვნულ უფლებათა აღიარების შესახებ ახალი მთავრობის დეკლარაციული განცხადებაც კი დიდს დაშვიდებას და კმაყოფილებას შეიტანს ჩვენს საზოგადოებაში. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ საქართველოს ავტონომიის გარშემო მეტად მავნე და არა სასურველი ატმოსფერა შეიქმნა. კომისარიატის ავტორიტეტული სიტყვა განფანტავს ამ მითქმა-მოთქმებს და ქართველი ერის რევოლიუციონურ ძალებს აღაფრთოვანებს, განამტკიცებს და გააძლიერებს.

სხვები და ჩვენ

ვინც ძველის რეჟიმის დროსაც ეროვნულ დროშის ქვეშ უკვე დარაზმულიყო და მიზანშეწონილ ბრძოლას აწარმოებდა ერის უფლების აღსადგენად, ისინი, თუ ტეხნიკურად არა, ყოველს შემთხვევაში, პსიხოლოგიურად მაინც მომზადებულნი შეხვდნენ ძველის გადავარდნას და ახალის დამყარებას; ისარგებლეს შექმნილის პირობებით, რევოლიუციის პირველ დღეების უბატონო თავისუფლებით და მეტად თუ ნაკლებად ეროვნულ თვითმოწყობას და პოლიტიკურ თვითმართველობის განხორციელებას შეუდგნენ. ვისაც ვერ მოეხერხებია სხვა და სხვა პირობებისა და წმინდა ეროვნულ-სპეციფიურ თვისებების ძალით ძველი რეჟიმის დროს საერთო ეროვნული თვალსაზრისისა და იდეალის გამეუფება და დაყოფილის, ერთი მეორის მოძულე და მოქიშპე პარტიების სახით ამ რევოლიუციის ზღურბლამდე მიაღწია, რევოლიუციის ზედგაღვენითა და წინ გადაშლილ პერსპექტივის დანახვით მათ დაივიწყეს ერთმანეთის შური და მტრობა და როგორც ერთი კაცი ისე აღდგნენ საერთო საეროვნო საქმისა და იდეალის დასაცავად. ამათაც მოასწრეს თვისი წვლილი გაეტანათ დამყარებულის თავისუფლებიდან და შეუდგნენ კიდეგაც ერის პოლიტიკური თავისუფლების ცხოვრებაში გაყვანა-განხორციელებას. ისე ხშირად დაუსახელებიათ ორივე გარემოების მაგალითები ამ ბოლო ხანებში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, რომ საჭიროდ არა ვსთვლი მათ გამეორებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი ერი, რომელსაც არ გამოეჩინოს ეროვნული იდეალის შეგნება, რომელიც არ იმყოფებოდეს ეროვნულ იდეის ბრძანების ქვეშ, ეროვნულ იდეის სრულს განკარგულებაში და მთელ თავის რეალურ ძალას და ტეხნიკურ საშუალებას ამ იდეის სამსახურს არ ახმარდეს. ერი არ დარჩენილა რუსეთში, რომ თავისათვის არ ზრუნავდეს და არ იჩენდეს როგორც ეროვნულ მოწიფულობას, ისე საერთო სახელმწიფოებრივ მომენტის შეგნებასაც. ვინც რამე ხელშესახები მიიღო ახალ რეჟიმისა და მთავრობისაგან, ვინც რაიმე რეალურის მოპოებით ეროვნული თავმოყვარეობა მოიშუშა და ეროვნული კმაყოფილება განიცადა, ისინი სრულიად ბუნებრივად ზედმეტის გრძნობებით და სიყვარულით აღივსებიან ახალის მთავრობისადმი, რომლის დამყარებით მათ უკვე იგემეს ეროვნული შვების სიტკბოება და რომლის განმტკიცებით ისინი თავიანთ ეროვნულ იდეალის სრულს განხორციელებას მოელიან. ვინც ახალ მთავრობისაგან ავტონომიურად მოწყობის სანქცია მიიღო და უფრო, ვინც დამოუკიდებლობისა, ისინი ეროვნული თვით-აღორძინების უკვე განცდილის რეალურის გრძნობით შეედუღენ რევოლიუციას, და ეროვნულ ეგოიზმის ძალით ხდებიან მისი უაქტივესი შემომქმედნი და განმამტკიცებელნი.

მიძმობ, მომცემ—მეყვარები. წამართმევ—მეძულები. ეს წესია ადამიანის ბუნებისა. ვინც ეროვნულად იტანჯებოდა და ვისაც რევოლიუციამ ეროვნული ბორკილები აჰყარა, ზოგს დამოუკიდებლობის მინიჭებით, ზოგსაც ავტონომიაზედ დასტურის დაცემით, ყველა ეს ხალხები ზედმეტად წმიდა ეროვნულ აღმაფრენას განიცდიან, ჯამი მათი სიხარულისა, მაშასადამე, სტიმულიც ზედმეტი მომქმედებისა და რევოლიუციური აღძვრისათვის მეტი აქვსთ, ვიდრე იმ ერებს, რომელთაც რევოლიუციისაგან ჯერჯერობით მხოლოდ მოქალაქობრივი შვება ნახეს.

ამგვარად, ვინც მომენტს ალლო აუღო და ღირსეულად შეეგება, ვინც, ერთის სიტყვით, თავს არგო, ის, გარემოებათა ძალით და სრულიად ბუნებრივად უფრო თავგამოდებულ თვითმოქმედ აგენტად გამოდის და საერთო საქმესაც უფრო ჰრგებს. ვინც თავს ვერა ჰრგებს, ის ვერც სხვასა ჰრგებს და უმეტეს შემთხვევაში მარტვა პამპულაა.

სიხარულით გევსება გული, როდესაც ჰხედავ მაღალ ეროვნულ შეგნების აქტებს. უკრაინა ამის იშვიათ მაგალითს იძლევა. მის ეროვნულ კრებაზე უკრაინის ყოველ ქალაქიდან და სოფლიდან ესწრებიან. ამ ერთგვარ ეროვნულ დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლად უკრაინელები რუსეთის ყველა ქალაქიდან მიეშურებიან. საზეიმო ეროვნულ კრებას შეურყეველი დადგენილება გამოაქვს: უკრაინა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიაში უნდა მოეწყოსო და ეწყობა კიდეც. სკოლები, როგორც დაბალი, ისე საშუალო და მაღალი, უკრაინულად გაჰხადეს. სასამართლო, ადმინისტრაცია უკრაინულ ენაზედ გადადის. შეჰქმნეს უკრაინელთა ლაშქარი, სამხედრო მინისტრის გუჩკოვის ნებართვით მოქმედობენ და აღწევენ კიდეც. ეროვნულმა კრებამ ავტონომიურ ტერიტორიის საზღვრებიც კი დასდო. მდ. ყუბანამდე მოვიდნენ, სულ მოგვიახლოვდნენ..

აი რასა შვრებიან სხვები. აი რამდენ ღირსებას და შეგნებას იჩენენ.

ჩვენ?

ჩვენ კი ვერც რევოლიუციამდე დავაღწიეთ თავი ეროვნობის ძიძგნას და ღვარძლისა და ბოროტების თესვას. ვერც რევოლიუციის დღეებმა გვიშველა და შეგვაერთა. დიდი მოვლენები გავლენას მარტო ჩვენზედ ვერ ახდენენ, მარტო ჩვენ ვერ გვზრდიან სულიერად, ისეა დაწვრილმანებული ჩვენი ბუნება, იმდენად წვრილმანი ვართ, რომ პარტიობის იქით ვერ მივდივართ. არ იქნა, ვერ ავმაღლდით ეროვნულ იდეამდე. ქართველობა ვერ გაგვაერთიანა ეროვნულმა იდეალმა; საერთო აღმაფრენა და ენტუზიაზმი ჩვენში ამიტომაც ვერ დაიბადა. მოვლენებს მხოლოდ პარტიულად განვიცდით, პარტიულის სათვალეებით ვხედავთ და პარტიულის საზომით ვაფასებთ. ამიტომაც პარტიულ-იდეურად ჩვენ უფრო გვთიშავენ ეს მოვლენანი, რომელნიც სხვებს აერთებენ და ერთსხეულად გარდაქმნიან. ქართველობის დაქსაქსულ ფიზიკურ სხეულს, სულიც დაქსაქსული და დაქუცმაცებული აღმოაჩნდა. ვიხრჩობით ამ ატმოსფერაში; ვკლავთ ეროვნულ იდეას, ვკლავთ სიტყვით, ვკლავთ საქმით. არ ვინდობთ ერთმანეთს, არ ვინდობთ სამშობლოს. გვიხარის კიდეც. გეშინიან ადამიანს. ნუთუ წირვა გამოდის ჩვენი? ან, იქნებ, მიღწეულ იყოს ჩვენი სულიერი დაწვრილმანების მაქსიმუმი და რასაც ეხლა ვხედავთ, ეს იყოს მხოლოდ უკანასკნელი პარპაში ყველა ჩვენი ეროვნულ-ტრადიციულ უარყოფითი თვისებებისა?!

თუ ასეა, ჯანწმენდის ქარიშხალო, რას აგვიანებ?!

ძველი ქართველი.

ქართული პრესა

ქუთაისში გამოვიდა ახალი გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა—**„ჩვენი ქვეყანა“**; მეთაური წერილში ბ-ნი **ნ. ლორთქიფანიძე** სწერს „მრწამსის“ შესახებ:

მთელი ერის კეთილდღეობა—ეს არის ჩვენი გაზეთის არსებობის დედა-აზრი...

ინგლისელი, ფრანგი, თუნდა დროებით აფორიაქებული რუსეთის მამულიშვილი თამამად შეჰყურებს მომავალს თვისი ქვეყნისას: იგი ეყრდნობა ერთ რომელიმე კლასს, ერთ რომელიმე დარგს ცხოვრებისას—მეცნიერებას, ვაჭრობა-მრეწველობას, ხელოვნებას, სარწმუნოებას და მით შეაქვს თვისი წვლილი არა მარტო ქვეყნის გაუმჯობესობაში, არამედ მთელ კაცობრიობისაც წინსვლაში დახმარებას უწევს.

ჩვენი მდგომარეობა სხვა არის... რიცხვით მცირენი, შეძლებით ღარიბნი, წინათ შინაგანი და გარეშე მტერთან ომებით და შემდეგ ასი წლის მონობით დაუძლურებულნი, მხოლოდ ეხლა ვიწყებთ მოქალაქობრივ მყუდრო ცხოვრებას; ამ დროს კლასთა შორის უთანხმოების გაღრმავება, მტრობისა და შურის დათესვა, ცხოვრების მიზნათ მხოლოდ ერთის რომელიმე დარგის დასახვა ქართველი ერის მოჭრილობულეს არ ეპატიება...

შემოვფარგლოთ საზღვრები ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც ბრუნდი და მართალი ყველა ეპოტინება და შევამციროთ ასპარეზი ჩვენი მოქმედებისა, რადგან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

შემოვიტანოთ ძირითადი დებულებანი მოქალაქეობრივი ცხოვრებისა, შეგნებისა, უფლება-მოვალეობისა, რომელიც დაწინაურებულ ქვეყნებში საანბანო ჭეშმარიტებათ არის მიჩნეული და ჩვენში კი სასაცილო და უმნიშვნელო საგნათ აღიარებული აბუჩათ აგვიღია.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილნი რუსეთის მოწინავე საზოგადოება-

სთან ერთად იბრძოდენ მოქალაქის უფლების მოსაპოვებლათ და თითქმის სრულიად იყენწყვიტნენ ერის პოლიტიკურ უფლებებს. მართალიც იყვნენ, ვინაიდან, სადაც მოქალაქის უფლებები არ არსებობს, იქ ერის უფლებებისთვის ბრძოლა თითქმის შეუძლებელია.

დღეს მოქალაქენი უკვე ვართ და გულახდილად, მთელის არსების სიძლიერით შეგვიძლია წამოვაყენოთ კითხვა ერის ჭირ-ვარამზე.

მისი კეთილდღეობა ეკონომიურათ გაძლიერება, ქვეყნის ხორციელათ გაჯანსაღება და სულიერათ განათლება დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის შვილთა ინიციატივზე და ისეთს სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე, რომელიც ანიჭებს ერთ თვის მიწა-წყალზე თვისი საქმეები თვითონვე სავსებით განაგოს ე. ი. იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელსაც ჰქვია ეროვნულ ტერიტორიული ავტონომია.

თავისუფალი ადამიანის თავისუფალი მოქმედება საქართველოში, და თავისუფალი საქართველოს არსებობა თავისუფალ რუსეთში სამარადისო საწინდარი იქმნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებისა, საქართველოს აყვავებისა და რუსეთის მთლიანობისა.

კავკასიის განსაკუთრებითი კომიტეტისაგან

კავკასიის მოქალაქეთა მიმართ.

მოქალაქენო!

ძველი გულშემხუთავი რეჟიმი, რომელიც საუკუნოებით ჰბორკავდა რუსეთს, დაეცა.

თავისუფალი რუსეთის საზღვრებში ყველა ეროვნებას შეძლება მიეცა მოეწყო თავისი ცხოვრება ისე, რომ დაკმაყოფილებულიყო მისი კულტურული და ეკონომიური მოთხოვნილებები.

მოქალაქეთა ერთობის და თავისუფლების უზრუნველ საყოფად დროებით მთავრობამ უკვე რამდენიმე კანონდებლობა გამოსცა და მით გაანადგურა ის პირობები, რომელნიც შეულსა ჰბადებდნენ სარწმუნოებისა და ეროვნებათა შორის.

ხოლო მხარის და მოქალაქეთა სამმართველოს მოსაწყობად, სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა და დროებითმა მთავრობამ 9 მარტს მიმდინარე 1917 წელს დაარსეს **განსაკუთრებითი კავკასიის კომიტეტი.**

თბილისში 18 მარტს ჩამოვედით. ამ რიცხვიდანვე შეუდგენით საქმის აღსრულებას ადგილობრივ პირობათა და საჭიროების მიხედვით.

ადმინისტრატიულ მმართველობის ხალხის ხელში გადასაცემად მხედველობაში გვქონდა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთა სურვილი და ამიტომ შევამუშაეთ დროებითი წესდებანი ადგილობრივ საადმინისტრაციო ფუნქციის საორგანიზაციოდ.

ახლო მომავალში განვიზრახეთ: უზრუნველ ვჰყოთ **ხვინიდისის თავისუფლების განხორციელება** ყველა სარწმუნოების სასულიერო საქმეთა მოგვარებით. დამყარდეს მმართველობის წესები **საზოგადოებრივ ძალისა** მოწვევით. თანახმად ახალ წესწყობილებისა მოვაწყოთ **ქალაქის საზოგადოებრივი თვითმართველობა** და მივიღოთ ყოვლი ღონისძიება **ერობის შემოსაღებად** ფართე, დემოკრატიულ საფუძველზე.

დაწესდეს **არჩევნებითი მომრიგებელი სამეჯავრო** და მოწესრიგდეს სოფლის უხერხული სამოსამართლონი, აგრეთვე განსაკუთრებითი ანუ ზეპირი სამოსამართლონი, სადაც კი იგინი ჰმოქმედობენ.

საამისო კანონპროექტის შესამუშავებლად მოკლე ხანში დავიფუძნეთ **განსაკუთრებითი სხდომა,** რომელშიც იღებენ მონაწილეობას კავკასიელ ეროვნებათა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად ჩვენ მოვაწყეთ საგზაო კომისია, რომელშიაც შედიან სპეციალისტები და მუშათა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები.

მიწის საკითხების გადასაწყვეტად დავიფუძნეთ სამიწადმოქმედო კომისია.

იგი გამოარკვევს სახნავ სათესის, საძოვრების და ტყეების საქმეს.

ახალ წესწყობილების უზრუნველსაყოფად დავიფუძნეთ განსაკუთრებული **საგამომძიებლო კომისია.**

რიგს ელიან:

არმიის სამეურნეო და დღიური ცხოვრება ახალ პირობათა მოწყობით.

სასკოლო საქმე ადგილობრივ ეროვნებათა კულტურულ-ნაციონალ საჭიროებათა მიხედვით.

მუშათა ცხოვრების და სამუშაოს პირობების მოწესრიგება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, სახალხო-სამხედრო მმართველობის განახლება და მრავალნაირი კითხვები, რომელნიც გადაწყვეტას თხოულობენ.

ზოგზოგი კითხვები, რომელთაც კი საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ნაციონალი, საეკლესიო, აგრარული და მუშათა—გადასწყდება დამფუძნებელ კრებაზე, რომლის მოსაწვევად დროებით მთავრობამ უკვე ზომები მიიღო; დანარჩენი საკითხები კი, გადასწყდება დროებითის მთავრობის და კავკასიის განსაკუთრებით კომიტეტის მიერ.

ხოლო ესდენ მძიმე სამუშაოს ჩვენ შევასრულებთ, თუ მხარში ამოგვიდგება ადგილობრივი **შემოქმედებითი ძალა** მცხოვრებთა, რევოლუციონურ საზოგადოებრივ, მუშათა და ჯარისკაცთა ორგანიზაციების სახით.

ძალგვიძს მისი აღსრულება თუ გვექნება ერთმანეთის გაგება და კეთილსურვილი. გვახსოვდეს, რომ დროებით მთავრობას, რომელიც შეიქმნა ხალხის აღფრიცხველ მსხვერპლით, არ ძალუძთ არ შეჰქმნას ნებისყოფა ამ ხალხისა.

ვიტყვით, რომ ჩვენის სამუშაოს არა ნაკლებ პირობად ჩაითვლება სასტიკის წესის და საზოგადოებრივ სიწყნარის შერჩენა.

აბსოლუტურად არავის მივცემთ ნებას, რომ ძალა იხმაროს სხვის ქონების მისათვის ებლად, ტყის (სახელმწიფო თუ მემამულეთა) გასაჩეხათ და ყოველგვარ თვითნებობისათვის, რომელიც გამოიწვევს ამბოხებას და მღელვარებას.

ყველა დაწესებულებანი თუ სახამართლონი მოქმედებდნენ ძველებურად, სანამ ახალი რეფორმები შემუშავდება.

ძველი **ხარჯები და გადასახადები** შეტანილ იქმნას ძველებურად, ვინაიდან იგინი ჯერ არ შეგვიცვლია.

დღევანდელ შიშის მოლოდინში ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რათა **უზრუნველვყოთ სახელოვანი ჩვენი არმია,** რომელიც მკერდით იფარავს ჩვენს თავისუფლებას, როგორც გარეშე მტრისა, ისე შინაურ რეაქციონურ ძალთაგან.

დეზერტირობასთან ბრძოლა, გაძლიერებული სამეურნეო მუშაობა და ენერგიული საქმიანობა სხვა და სხვა დაწესებულებებში მქონედ უნდა აღასრულონ მცხოვრებთ, ვინაიდან **ჩვენი თავისუფლების ბედი დამოკიდებულია ახპარეზზე მომქმედ ჯარის გამარჯვებისაგან.** მთელის ძალღონით დავიცვათ ერთობა ჩვენი არმიისა, არა მივსცეთ ნება დაარსდეს რაიმე პოლიტიკური სამხედრო ორგანიზაციები, ნაციონალ ნიადაგზე აღმოცენებული.

მოქალაქენო! გახსოვდეთ, რომ არმიის ძალა მის ერთობაშია.

ჩვენ მოვალეობად ვთვლით ყურადღება მივაქციოთ **სასურსათო საკითხის გამწვავებას** ათასნაირ მიზეზთა გამო, რომელიც შეჰქმნა ძველმა მთავრობამ, სასურსათო საქმე მეტის-მეტად აწეწილი და მოუგვარებელია. დროებითი მთავრობა ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ მოწესრიგდეს ეს საკითხი, სანამ პური სახელმწიფოს გარდაეცემა. რადგანაც ეს საქმე ძნელი და მძიმედ გადასაწყვეტია, ამისთვის გთხოვთ მოეექცეთ შეგნებულად, წყნარად და გულდამშვიდებით, თუ ვინიცობაა რამემ შეაფერხა სასურსათო საქმე.

მოქალაქენო!

ვიმუშავოთ ერთგულად და ენერგიულად ჩვენი საერთო ძვირფას საბჭოს, ჩვენის მხრის საკეთილდღეოდ და შესანარჩუნებლად იმ თავისუფლებისა, რომელიც აღფრიცხველ მსხვერპლით მოიპოვა საუკუნოებრივ ბრძოლაში.

კავკასიის განსაკუთრებითი კომიტეტი.

თავმჯდომარე **ვ. ხარლამოვი.**

წევრნი: **მ. პაპაჯანოვი, მ. ჯაფაროვი, ა. ჩხენკელი, კ. გ. აბაშიძე.**

თბილისი, 12 აპრილი 1917 წ.

რევოლიუციის დეპეშები

11 აპრილი.

ფრონტის და ზურგის ჯარის წარმომადგენელთა კრება.

მინსკი. საღამოს სხდომა, აპრილის 8. გვოზდევი კრებას ცნობას აძლევს პეტროგრადის ამბების და პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს შესახებ. იგი შეეხო № 1 ბრძანებას. ეს ბრძანება მხოლოდ პეტროგრადის მეციხოვნეთ შეეხება და არა ფრონტსაო. სკობელევმა ილაპარაკა ჯარის-კაცთა და აფიცერთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. „აფიცრობა ყაზარმებში იზრდებოდა, პოლიტიკის გარეშე, კადეტთა კორპუსებში და საიუნკრო სასწავლებლებში. რაღა უნდა მოვთხოვოთ მას ამ პირობებში? თვითმპყრობელობა მათ ფრონტზე კი არა ჰგზავნიდა, არამედ გადაასახლებდა ხოლმე. რევოლიუცია აფიცრების გონებას განსწმენდს და ჯარის-კაცთა და აფიცრების დაკავშირებას ასწავლის“. მრავალმა აფიცერმა სკობელევს მადლობა გადუხადა. წერეთელმა კომენტარიები გაუკეთა იმ რეზოლიუციას, რომელიც პეტროგრადის საბჭომ შეიმუშავა ომის შესახებ და სთქვა, რომ სეპარატიული ზავი რუსეთს დაჰღუპავსო. შემდეგ ილაპარაკა სოციალ-დემოკრატების პროგრამაზე მიწის საკითხის და საყოველთაოდ იარაღის აყრის შესახებ. დეპუტატებს ყველა შეკითხვაზე პასუხს აძლევდნენ ჩხეიძე და სკობელევი. ებრაელთა საკითხის შესახებ ილაპარაკა სკობელევმა: ამ საკითხის აღძვრა მეოცე საუკუნის შერცხვენაა—სთქვა მან,—თქვენ ვერ ჭგრძნობთ იმ სირცხვილს, რომელსაც რუსეთი განიცდის ამ საკითხის გამო. ჩემთვის, როგორც რუსისათვის სათაკილოა, როდესაც ამბობენ, ებრაელებს დაუკეტეთ უნივერსიტეტის კარები, თორემ მეცნიერებას ხელთ იგდებენო. ამბობენ, ებრაელები სოფლებიდან რუს „ბატონებს“ გამორეკავენო. მერე რა განსხვავებაა? სულ ერთი არ არის, თუ ვინა ჰყვლეფავს გლეხს? თვითმპყრობელობისათვის საჭირო იყო ებრაელთა საკითხი. სოფელი „ბატონებს“ წერაკითხვა უნდა დაუყენოთო. ყბად-აღებულ ორმთავრობიანობის შესახებ ჩხეიძემ სთქვა, რომ არავითარი ორმთავრობიანობა არ არის, არის მხოლოდ მთავრობის მოქმედების კანტროლი, მუდამ აზრიანი და საჭიროო. ეს ერთმანეთის გამაგრებაა (ტაში. ყველა მარსელიოზს ღერის). სხდომა ოფიცერთა და სალდათთა შეერთების საუცხოო სურათით დასრულდა. ამ კითხვის შესახებ ილაპარაკეს ჩხეიძემ, წერეთელმა და სკობელევმა. არტილერიის ერთი პოლკოვნიკი მივიდა ჩხეიძესთან და უთხრა „ნიკოლოოზ სიმონის ძე, თქვენ ბროლივით წმიდა ხართ“, გადაეხვია დ გადაჰკოცნა—ყველაფერში გენდობითო. ტრიბუნასთან მივიდა ერთი უნტერ-ოფიცერი და ამ ოფიცრის პატიოსნურ მოქმედებას მიესალმა. კრება მარსელიოზით დამთავრდა.

ფრონტის კრება სექციებად დაიყო. ოფიცრები ერთსულოვნად მუშაობენ. ფრონტის კომიტეტის შექმნას აპირებენ. ხელმძღვანელობენ პეტროგრადის მუშათა და სალდათთა თათბირის და გლეხთა საკითხის სექციის რეზოლიუციებს. სალდათთა უმრავლესობა ენერგიულად იცავს გლეხთა საკითხს.

კრებამ ყურადღებით მოისმინა ბანაკის წარმომადგენელის, პოლკოვნიკ სერგიევის მოხსენება. მან განმარტა, რომ ბრძანებას პეტროგრადში ჯარის გასაგზავნად, რევოლუციის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ყოფილი მეფე იძლეოდაო. ბანაკი სცდილობდა ამ ბრძანებისათვის როგორმე ხელი შეეშალა და მოძრაობას თანაგრძნობით ეპყრობოდა. როცა მეფე ბანაკიდან წავიდა, ბანაკმა მასთან კავშირი თითქმის შესწყვიტა. აღნიშნა, რომ ბანაკში სისხლის ღვრა მოხდებოდა, გენერალი ალექსეევი, რომ არა ყოფილიყოვო. როცა მეფე დაბრუნდა, მას მანიფესტაცია გაუმართეს და მის ფანჯრებთან მარსელიოზი იმღერესო.

ხ ი ვ ა

ტაშკენტი. ხივის ხანმა ჯარების სარდალს აცნობა, გადაწყვეტილი მაქვს, ხალხს კონსტიტუცია მივცეო. კონსტიტუცია ფართო დემოკრატიული იქნებაო.

ეროვნული საკითხი

უკრაინა

კიევში სოციალისტურ პარტიათა საერთო კრებაზე სურვილი გამოითქვა უკრაინის დამფუძნებელ კრების მოწვევისა უკრაინის ავტონომიურ ფარგლების გამოსარკვევად, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების დასტურის მიუცემლად.

ამ განცხადებამ დიდი გავლენა მოახდინა. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს წარმომადგენლებმა მაშინვე ცხარე პროტესტი განაცხადეს უკრაინელთა ასეთი განზრახვის წინააღმდეგ.

ამ საგნის თაობაზე უკრაინის საზოგადო მოღვაწეთა საგანგებო კრება მოხდა, რომელზედაც თავმჯდომარემ, კიევის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელმა, განაცხადა: მართლა არსებობს უკრაინაში ასეთი ძლიერი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ეხლავე მოითხოვს, დაუყონებლივ განისაზღვროს უკრაინის რუსეთ-ბლიკის ფარგლები ან უკრაინა სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდესო?

უკრაინის რადას თავმჯდომარემ პროფესორმა გრუშევსკიმ სიტყვა უკრაინულად დაიწყო, თუმცა მერე ისევ რუსულზე გადავიდა. გრუშევსკიმ სტრადომსკის კითხვაზე პასუხი არ გასცა, და თავის მხრივ ასეთი კითხვა დააყენა:

„ვისთან გვაქვს საქმე ეხლა, ამხანაგებთან, თუ მოპირდაპირეებთან? აღიარებთ თუ არა ერის უფლებას, რომ თავის მიწა წყალზე თავისი სურვილის მიხედვით მოაწყოს თავისი ცხოვრება, თუ თქვენ გამარუსებელ სისტემის წარმომადგენელნი ბრძანდებით? გთხოვთ, უპირველესად თქვენი აზრი გაგვიზიაროთ, თუ უკრაინის ხალხის ეროვნულ მოწესრიგების საქმეს როგორ უცქერით? გრუშევსკიმ ბოლოს გულისწყრომა გამოსთქვა იმ მუქარის გამო, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატების სახელითაა შემოთვლილი, რომ თუ უკრაინელთა კონგრესი, რომელიც 6 აპრილს დაიწყება, თავის თავს დამფუძნებელ კრებად გამოაცხადებს, მაშინ ჯარი ხიშტებით გაჰრეკავსო“.

კიევის მეციხოვნე ჯარის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელი კაპიტანი კაარუმი მოითხოვს, რომ უკრაინელებმა ეხლავე გადმოშალონ თავისი გულის ნადები და ხელი აიღონ უკრაინის შემოფარგლაზე. იგი აცხადებს: ჩვენ, სამხედრონი, გთხოვთ, ისეთ საკითხებს ნუ წამოაყენებთ, რაიც განხეთქილებას შეიტანს საქმეში. ხელს ნუ შეგვიშლით სამშობლოს და თავისუფლების დაცვაში. ჩვენ არ უნდა გვეფიქრებოდეს, რომ გერმანელთა ზარბაზნების წინაშე მდგართ ზურგიდან ხანჯალი არ ჩაგვცენ.

ამის საპასუხოდ მწერალმა ინჩენკომ განაცხადა: სეპარატიული მიმართულება ჩვენში უკვე მკვდარია. რუსეთი ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე თქვენთვის, რადგანაც ჩვენ უფრო ჩაგრულნი ვართ. ჩვენ გამოვესარჩლებით თავისუფლებას, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ თავდასხმისაგან. მე პირდაპირ გიცხადებთ გულის ნადებს. თუ დამტკიცდა, რომ ჩვენ მისწრაფებათა განხორციელება დეზორგანიზაციას შეიტანს და ხელს შეუშლის ჩვენს თავისუფლებას, ჩვენ დაუფიქრებლად ხელს ავიღებთ ჩვენს მისწრაფებაზე. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამისი დამტკიცება შეუძლებელია.

კვლავ პროფესორი გრუშევსკი ლაპარაკობს: მომავალ კონგრესს მიზნად აქვს შეჰქმნას გაერთიანებული რადა, რომელიც პატარა-პატარა ორგანიზაციებად არის აღიარებული და უფრო უმაღლეს ავტორიტეტულ სანქციას ითხოვს. ცენტრალი რადა ეროვნულ ორგანიზაციიდან ტერიტორიალურ საეროვნებათაშორისო ორგანიზაციად იქცევა. ყოველი მოქმედება უკრაინის ავტონომიის შესამზადებლად სწარმოებს დროებითი მთავრობის დადგენილების მიხედვით დემოკრატიულ წესწყობილების დასამყარებლად. ჩვენ თვითონ გვეუმკლავდებით იმ ეროვნულ დამნაშავე კერძო პირთ, რომელნიც შოვინისტურ მისწრაფებას ემსახურებიან.

ომის დეპეშები

მთავარ ბანაკის ცნობა.

11 **აპრილი**

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზით სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. მდ. აას რაიონში გერმანელები შუშის ტყვიებს ხმარობდნენ. კარპატებში დიდი ქარ-ბუქია.

რუმინიის ფრონტზე სროლა და მზვერავების მოქმედებაა. მეორე დღეა რაც ქარბუქია. ხეობებში წვიმებია. მდინარეებში წყალმა იმატა და ნაპირები გადმოლახა.

კავკასიის ფრონტი. სპარსეთში ქურთები ჩვენს წინააღმდეგ დიდ მტრობას იჩენენ. აპრილის 2-ს ყაზახები ინგლისის სამხედრო აგენტს რომ მიაცილებდნენ, მათ არაბები დაეცნენ თავსა. ყაზახთა ასეულმა ბაქუბისკენ გზა გაიკვლია. დანარჩენ ადგილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება. ტრას მთაძიანის რაიონში ჩვენმა არტილერიამ გერმანელების საფრენი მანქანა ჩამოაგდო.

12 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის ფრონტი. სროლა, მზვერავთა და მფრინავთა მოქმედებაა. რუმინეთის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა. უფრო განცხოველებულია მერეშესჩის-ფოკშანის რკინის გზის აღმოსავლეთ რაიონში.

კავკასიის ფრონტზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

ინგლისი

ლონდონი. საღამოს ოფიციალი ცნობა ბრიტანეთის მთავარ ბანაკისა საფრანგეთში. დღისით მდინარე სკარპის ნაპირებზე ისევ იყო ბრძოლა. დავიპყარით საჭირო პოზიციები. მტრის ძლიერი იერიშები მისთვის დიდის ზარალით მოვიგერიეთ. დავიპყარით სოფელი გონელი და ორ-ნახევარი მილი გერმანელთა მოსაგერიებელ ხაზისა და ბრძოლით წინ წავიწიენით. მონში-ლე-პრეს აღმოსავლეთით და სამხრეთით დავატყვევეთ 1000-ზე მეტი კაცი და ლანსის სამხრეთ-დასავლეთით წავიწიენით.

9 აპრილს ჰაერში დიდი ბრძოლა იყო. გავანადგურეთ მტრის 6 ჰაეროპლანი, 15 ჩამოვაგდეთ. გავანადგურეთ გერმანელების 7 დაბმული მფრინავი ბურთი. ჩვენ ოთხი მფრინავი გვაკლია.

მესოპოტამიაში

ლონდონი. აპრილის 9-ს მტერმა ისტაბულეთის პოზიციების დანარჩენ ადგილებსაც თავი მიანება. ჩვენ დავიდეენენით; ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ზარბაზნები. მტრის ახალ პოზიციებზე, ტიგსოსის მარჯვენა ნაპირზე იერიში მიგვაქვს. ჩამოვაგდეთ მტრის საფრენი. მფრინავი მოკლულია.

ბრძოლა ზღვაზე

სტოკჰოლმი. გერმანეთის საადმირალო იუწყება: გერმანელთა გემებმა ლუგრთან მტრის საყარაულო გემი დაჰღუპესო. ლუერის აღმოსავლეთით ბრძოლა მოგვიგიდა ინგლისელთა მრავალ კონტრ-ნაღმოსნებთან. დაიღუპა გერმანელების ორი კონტრ-ნაღმოსანი და ინგლისელების მოწინავე გემი.

ბერლინიდან იუწყებიან, ზღვაში ჩაუშვეს ახალი დიდი ნაღმოსანი სახელად „მაკენზენი“.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავის გარშემო

გერმანეთის მთავრობის ოფიციოზი „ნორდოიჩ ალგემეინ ციტუნგ“-ი სწერს:

„რუსეთის დროებითმა მთავრობამ 28 მარტს დეკლარაცია გამოსცა, რომელიც რამდენსამე არსებითს მუხლში გერმანეთის მიერ მოკავშირეთათვის წარდგენილ განცხადებას ეთანხმება. ამ განცხადების თანახმად ორივე ეს სახელმწიფო ესწრაფვის თავთავისი ერის არსებობისა, ღირსებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. ცენტრალ სახელმწიფოებს სურვილი არა აქვთ, რომ რუსის ხალხი ბრძოლიდან დამცირებული ან ძირიანფესვიანად შერყეული გამოვიდეს. მათ განზრახვა არა აქვთ შეეხნენ რუსის ხალხის ღირსებას და თავისუფლებას. მათი ერთად ერთი სურვილია თავისი ბედით კმაყოფილ მეზობელ ერებთან თანხმობით იცხოვროს. ცენტრალი სახელმწიფონი სრულიადაც არა ფიქრობენ რუსეთის ახალ წყობილების დამყარებაში ჩაერიოს ან მუქარა შეუთვალოს რუსეთს მაშინ, როდესაც რუსეთის თავისუფლება უკვე დაიბადა. რუსეთის მთავარბანაკის ცნობა, 29 მარტის თარიღით გამომქეყნებული, გერმანელების მიერ სტოხოდზე ტაქტიკურის მოსაზრებით მიტანილ იერიშების თაობაზე ჭგულისხმობს ვითომც ეს ფართე შეტევის დასაწყისი ყოფილიყოს. თუ რუსეთის ხალხი ეხლაც განაგრძობს სისხლისმღვრელ მსხვერპლის გაწირვას და ტანჯვა-წამებას იმის მაგიერ, რომ მთელი თავისი ძალ-ღონე მშვიდად და დაუბრკოლებლივ შინაურ საქმეთა მოწესრიგებისათვის შეელია, ბრალი გერმანეთს როდი ედება. დანაშაული მიუძღვის იმათ, ვისთვისაც ომის განგრძობა ხელსაყრელია და რომელნიც 28 მარტის დეკლარაციის წინააღმდეგ გაილაშქრებენ—სახელდობრ რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთ. ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას პირდაპირ განუცხადეს: ზავს მაშინ ჩამოვაგდებთ, როდესაც დანაწილდება ავსტრია-უნგრეთი, ევროპის ფარგლებიდან ოსმალები განიდევნებიან და მცირე აზიაც დანაწილდებაო. რუსის ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მისი შვილები სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლას მხოლოდ იმისათვის უნდა განაგრძობდნენ, რომ ასე ჰსურთ რუსეთის მოკავშირეებს თავისი მიზნის მისაღწევად, ქვეყნის დასაპყრობად და მისათვისებლად.

აქაა სათავე რუსეთის დამშვევისა და გაჭირვებისა, მაშინ, როდესაც იგი უნდა სტაბილებოდეს ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებით და მეზობელ ერებთან კეთილგანწყობილ შეკავშირებული განაგრძობდეს მუშაობას პროგრესისა და კაცობრიობის სასარგებლოდ. („რუსკ. სლ.“)

რუსი ემიგრანტები და ინგლისი

რაკი რუსეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა და ამნისტია გამოცხადდა, რუსმა ემიგრანტებმა, რასაკვირველია, სამშობლოს მოიფერეს. მაგრამ ზოგს მათგანს ინგლისმა გზა შეუკრა და სამშობლოში არ გამოუშვა. ისე გახდა საქმე, რომ ზოგი მათგანი, მაგალითად, სოც.-დემოკრატების „ბოლშევიკების“ ცნობილი მეთაური ლენინი და მისი ამხანაგები იძულებულნი იყვნენ შტრის ქვეყანაზე, გერმანეთზე გაევლოთ და ისე შემოსულიყვნენ რუსეთში. გერმანელებმა ესენი თავის მიწა-წყალზე თავისუფლად გაატარა. ხმა დადის, ვითომც ლენინს გერმანელებისათვის პირობა დაედოს. გამატარეთ გერმანეთზე და სამაგიეროდ ზოგ თქვენს ტყვეს, რუსეთში რომა ჰყავთ, გავანთავისუფლებთო; ზოგი კი ამბობს, გერმანელებს არავითარი პირობა არ დაუდვიათ ლენინისათვის, ისე გაატარესო. ინგლისის მთავრობა ამბობს, ლენინი და მისი ამხანაგები იმიტომ არ გავუშვით რუსეთში, რომ ესენი ომის წინააღმდეგნი არიანო. ეხლა გამოირკვა, რომ ძველ მთავრობას მოკავშირეებთან ხელ-შეკრულება ჰქონია დადებული, რომლის ძალითაც მოკავშირეებს რუსეთში არ უნდა შემოეშვათ ისეთი პირები, რომლებიც „ომს ეწინააღმდეგებიან, რადგანაც რუსეთის და მის მოკავშირეთა ინტერესების მტრები არიანო“. ამისთანა პირთა სია მოკავშირეებისათვის წარუდგენია რუსეთის „ოხრანებს“. ამ სიაში მოჰყოლიან სოც.-რევოლიუციონერები, ლენინი, ჩერნოვი, ნატანსონი და სხვ. ხოლო ეს საქმე ხელთ ჰქონია ინგლისის მთავრობას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძველი მთავრობა დაეცა და ახალი წყობილების ძალით რევოლიუციონერები მოღალატენი არ არიან, მათ მაინც არ უშვებს რუსეთში, ძველის მთავრობის ძალით. გაზ. „დელო ნაროდა“ სწერს, დროებითმა მთავრობამ დროთი უნდა იზრუნოს, რათა რუს ემიგრანტებს რუსეთში მოსვლა თავისუფლად შეეძლოს. ესენი რუსეთის რევოლიუციისათვის საჭირონი არიან და თუ ვიხმე მათ გზას უკრავს, თავის რაღაც საიდუმლო მიზნებისათვის, რუსეთის მთავრობა მოვალეა ამას ბოლო მოუღოსო.

ცარსკოე სელოში

ტყვე ხამეფარის და ნადედოფლარზე თვალ-ყურის დევნება მინდობილი ჰქონდათ სასახლის ყარაულის უფროსს და კომენდანტს კოცებუს. სასახლიდან გაგზავნილი წერილებს ამათს ხელში უნდა გაევლო. ერთმელ გრაფმა ბენკენდორფმა კოცებუს ერთი დიდი პაკეტი გადასცა. ეს პაკეტი ხელში ჩაუვარდა მორიგ პრაპორშჩიკს ვერიკს. შიგ აღმოჩნდა ორი წერილი ბენკენდორფისა გრაფინია ალექსეევასთან მიწერილი. ბენკენდორფი სთხოვდა გრაფინიას, დაუყოვნებლივ გაჰყიდეთ ჩვენი მამულები, და ფული ამერიკის ბანკში გაგზავნეთო. შეგვატყობინეთ, როდის წავა შიკრიკი ამეიოკაშიო. წასვლისას ცარსკოე სელოში მოვიდეს კოცებუსთან და დოკუმენტებს მიიღებსო“. ვერიკმა ეს ამბავი მეციხოვნეთა უფროსს კოჩილინსკის შეატყობინა. კოცებუ დაატუსაღეს. კერენსკის ბრძანებით სასახლეს უფრო მეტი სიფრთხილით დაუწყეს ყარაულობა. ამის შემდეგ ყარაულის ძველმა უფროსმა ახალს უნდა ჩააბაროს ხოლმე ხამეფარი და ნადედოფლარი. როცა პირველად მოხდა ესა, ნიკოლოოზი ჩვეულებრივ მხიარულად იყო, ყარაულის აფიცრებს მიესალმა და ხელი ჩამოართვა. ნადედოფლარი კი ადელვებული იყო, სახეზე ალმური ასდიოდა და მთლად ზიზღით იცქირებოდა. მანაც ხელი ჩამოართვა აფიცრებს, მაგრამ ხმა კი არ ამოუღია. ამის შემდეგ სასახლეში დიდი სისასტიკე ჩამოაგდეს. ნიკოლოოზი სასახლეში ისე თავისუფლად ვეღარ დასეირნობს, ბაღში როცა გამოდის, ყარაულის უფროსი დასდევს. სადილიც ცოტათი შეუმცირეს. აქამდის კი თვითონ ნიკოლოოზი ირჩევდა საქმელებს.

უცანასკნელი ცნობები

პეტროგრადში მომხდარ შეერთებულ კრებაზე, **რომელშიაც** შევიდნენ **წარმომადგენელნი** ლიტვის სოციალისტ-ხალხელთა, ბელორუსთა სოციალისტების გრომადისა, ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბუნდისა, უკრაინისა და ლატვიათა ფრაქციისა მუშათა დეპუტატების საბჭოში, ქართველთა, სომეხთა და ესტონელთა, შესაძლებლად ცნეს გაერთიანება და შექმნა ერთის ხალხოვანი ბლატფორმისა. კითხვას განიხილავენ 14 აპრილს.

—

ლროებითმა მთავრობამ სამხედრო **სამინისტროს** წინადადება არსებითად **მოიწონა,** რათა სამხედრო სამსახუ-

რიდან გაანთავისუფლონ 48 წლისაზე უფრო ხნიერნი. ამასთანავე დაადგინა: 48 წლისაზე ნაკლები თეთრ ბილეთიანები ხელმეორედ შეამოწმონ, რათა ხნიერ ჯარისკაცთა განთავისუფლებით შემცირებული რაზმები კვლავ შეივსოს.

—

მეორე სათათბიროს ნადეპუტატარი კაკი წერეთელი პეტროგრადიდან კავკასიაში გამოემგზავრა ჯანსაღობის აღსადგენად.

—

საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი ქალი სარრა ბერნარი უკანასკნელ დღეებშია. ექიმებს მისი მორჩენის იმედი არა აქვთ.

—

გერმანელების მოტრფიალე ესპანური გაზეთები მოითხოვენ, რომ ესპანიამ შეიარაღებული ნეიტრალობა დაიცვას ყოველ შემთხვევისათვის.

—

გაზ. „ფორვერტს“-ის სიტყვით, სრულიად გერმანიის სოც.-დემ. კომიტეტმა ერთხმივ მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალითაც მუშათა კლასი დაუყოვნებლივ მოითხოვს სახელმწიფო სამართლის წინაშე მოიხიბოს უთანასწორობა, მოსპობილ იქმნას ბიუროკრატიული რეჟიმი და მის მაგიერად შემოღებულ იქმნას ხალხის წარმომადგენლობა. გერმანიის სოციალისტები შოვინიზმის წინააღმდეგნი არიან, ყოველ ხალხს თავისუფალ ეროვნულ განვითარების საშუალება უნდა მიეცეს. ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო უნდა იყოს. გაზეთი რუსეთის მუშათა და ხალდათთა საბჭოს რეზოლუციას მიესალმება და საჭიროდ სცნობს საყოველთაო ზავის ჩამოგდებისათვის მუშაობას.

—

გერმანეთის მთავრობამ განაცხადა, საგოსპიტლო გემებს დავლუპავთ ისე, რომ არც კი გავაფრთხილებთო. ამაზე საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა, ამ გემებზე ჩვენ გერმანელ ტყვეებს დავსხამთო.

—

„უტ. როს.“-ში დაბეჭდილია წერილი პროფესორ მიგულინისა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „თუ ჩვენ პეტროგრადი და ადესა ხელიდან გამოგვეცალა, ჩვენი მდგომარეობა უნუგეშო იქნება, გერმანეთი, რა თქმა უნდა, მონარქიას აღადგენს, მაგრამ რადგანაც დინასტიის წარმომადგენლებმა ტახტზედ უარი განაცხადეს, ტახტზე აიყვანს ნიკოლოზ პირველის შვილიშვილს ფრიდრხ-ფრანცს, დიდ ჰერცოგს მეკკლენბურგ-შვერინელს, რომელსაც ჩვენი ძირითადი კანონების მიხედვით უფლება აქვს რუსეთის ტახტზე ასვლისა, ხხოლოდ მართლმადიდებლობას მიიღებს. ფრიდრიხ-ფრანცი იმავ დროს ლვიძლი ძმაა პრუსიის კრონპრიცესის ცეციღიისა.

ახალი ამბავი

„ხაქართველოხ“ გუშინდელი ნომერი ტეხნიკური მიზეზის გამო არ გამოხულა.

კომისარ აკაკი ჩხენკელის საქმეთა მმართველად დანიშნულია ნაფ. ვექილი გრ. გეორგაძე.

ხამხედრო-ხაცენზურო განყოფილება. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-საცენზურო განყოფილებაში აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლად არჩეულ იქმნა ი. ვ. გედევანიშვილი.

ხომეხ წერალს შირვანზადეს ხელით შეურაცყოფა მიაყენეს აპრილის 8-ს „ფიხჯან ჩაის“ წინ ხელით. მიზეზი ამისა ისა ყოფილა, რომ მწერალს ცუდი სიტყვებით მოეხსენებინა საჯაროთ სომხების გმირი ანდრონიკი და მთელი სომხის ერი ოსმალეთისა. შირვანზადესა სთხოვენ საჯაროთ ბოდიში მოიხადოს როგორც ანდრონიკისა, ისე ოსმალეთის სომხობის წინაშე.

ხარფუხის კლუბის დაწვა. 11 აპრილს ღამით დაიწვა ხარფუხის კლუბი. რაკი შენობა ხისა იყო, ცეცხლი მალე მოედო და რამდენსამე საათში დაიწვა როგორც თვით შენობა, ისე ავეჯი. ზარალი დიდია.

თელავის ამბების გამოძიება. მოსულ ამბების გამოსაძიებლად, ვითომც თელავსა და თელავის მაზრაში პარტიათა შორის უთანხმოების გამო წესრიგი დარღვეულიყვეს, თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა შერეული კომისია გაგზავნა, რომელშიაც შედიან: ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მხრივ ჭიაბრიშვილი, მუშათა დეპუტატების საბჭოს მხრივ ჩიხლაძე და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მხრივ კარიხი.

რკინის გზის კომისარის დანიშვნა. თბილისის ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის რკინის გზის სადგურის კომისარად დანიშნა ნოე რამიშვილი.

დაპატიმრეს ექიმი სოკოლოვი.

გ. ფორდანიას ახალი წიგნაკი: „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია“. (ფასი ორი შაური). იყიდება ფ.-კ. საზოგადოების და სხვა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე ჩვენის გაზეთის კანტორაშიაც.

დეკანოზ გოროდცევის დაჭერა. თბ. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით შეპყრობილ იქმნა როსტოვიდან ჩამოსული დეკანოზი სერგი გოროდცევი. დაჭერის დროს 11 პასპორტი აღმოაჩნდა ზედ.

ნ. რუდოლფი და ქართული გიმნაზიები. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის გადათვალიერების დროს უპირველიათ შემდეგი განკარგულება, თვით რუდოლფის ხელით დაწერილი: „ჩემის 1916 წ. სექტემბრის რევიზიის შემდეგ“. (საიდუმლო). ბ. ბ. საოლქო ინსპექტორებს და საქმის მწარმოებელთ. თბილისი და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებში კურს დამთავრებულებთაგანს ოლქში არსებულ მთავრობის საწავლებლებში სამსახური არ უნდა მიეცეთ.

გენერლების გაჩხრეკა. აპრილის 9 ქალაქის მილიციის უფროსის თანაშემწემ გაჩხრიკა ბინა გენერლების აფანასიევისა და სტეფანოვისა. სტეფანოვის სამწერლო მაგიდის უჯრაში 3,287 მახეთი ოქროს ფული აღმოჩნდა.

ქალაქის ხესხი. ამიერ კავკასიის კომისარიატმა ნება დართო თბილისის ქალაქის თვითმართველობას ისესხოს ადგილობრივ ბანკებში 3 მილიონი მანეთი ვალიან ვადების გასასტუმრებლად.

ტრამვაი. ტრამვაის დირექციამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას ტრამვაის კანტორის მოსახსახურეთა მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ მათ ჯამაგირი მოუმატონ. მოთხოვნილება სატრამვაიო კომისიას გადაეცა.

ინჟინერმა გ. ჭურდიანმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომ თბილისში წყალი მომჭირნეობით დაიხარჯოს. მაგალითად, ავტომობილები წყალსადენის წყლით არ ირეცხებოდეს. აბანოებმა მტკვრის წყალი ხარჯონ, აგრეთვე აგურახანებმა და სხ.

ნიხრი. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა შემდეგი ნიხრი დააწესა ხორცეულობაზე: გირ. ძროხის ხორცზე 70 კაპ., ცხვრისაზე 80 კაპ. და ბატხანისაზე 1 მან. ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტია ეს ნიხრი არ დაამტკიცა. ამ კომიტეტის აზრით, ფასები დიდია; ბატკნის ხორცს თვით ყასბები ჰყიდიან ხშირად გირვანქას 80 კაპ., სასურსათო კომიტეტმა 1 მანეთის დაწესება განიზრახა.

წინასწარი ცენზურა. პიატიგოოსკის აღმასრულებელ კომიტეტს გაზეთ „კავკაზსკი კოიაზე“ წინასწარი ცენზურა დაუწესებია. რედაქტორს ეს ამბავი დროებით მთავრობისთვის უცნობებია და პასუხად მოსვლია: აღმასრულებელ კომიტეტს არავითარი უფლება არ აქვს რომელიმე პერიოდულ გამოცემაზე წინასწარი ცენურა დააწესოსო“. („ჩვ. ქვეყანა“)

ქალალდის თამაშის აკრძალვა. ქალაქის კომიტეტის დადგენილების თანახმად, ქალაქის მილიციის უფროსმა პოდპორუჩიკმა კოგანმა შემდეგი ბრძანება დაუგზავნა თავისს ხელქვეითებს: თვალ-ყური ადევნეთ კლუბებს, რესტორანებს და კერძო ბინებს, საცა დიდ ფულზე თავდაუჭერელად თამაშობენ ბანქოს და სხ. საცა ასეთ თამაშს წააწყდებით, ფულები წაართვით მოთამაშეთ, იქვე დათვალეთ, რაოდენობის ბარათი დაუტოვეთ და ფულები წარმოადგინეთ. წართმეული ფულები გადაეცემა აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო ვინაობა მოთამაშეთა და ბინა, საცა თამაში იყო, მეორე დღესვე გაზეთებში გამოცხადდებაო. ფულის ჩამომრთმევი უნდა იყვეს უფროსი მილიციონერი, რომელსაც საგანგებო რწმუნების ქალალდი ექნება თავის უფროსისაგან.

კომისარების არჩევნების გადაშინჯვა. მუშათა დეპუტატების საბჭოს ცხობა მოუვიდა, რომ ახალციხის მაზრაში კომისარიატისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევა თუმცა ფარულის კენჭის ყრით მოხდა, მაგრამ კომისარად მაზრის უფროსად ნამყოფი იქნა არჩეული, ხოლო სხვა პასუხის საგებ თანამდებობაზედაც ისევ ნაპოლიციარები. ამის გამო მუშათა საბჭომ ახალციხეში გაგზავნა თავისი წევრი როხლინი და დაავალა გამოიძიოს, თუ რამდენად კანონიერი იყო არჩევნები და თუ იღმოჩნდება, რომ არჩევნებზე წესრიგი დარღვეულა, კომისარი და სხვა თანამდებობის პირნი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
საორგანიზაციო ბიურო

I. ხუთშაბათს 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე

თბ. ქართულ გიმნაზიის შენოგაში

მოხდება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის I-ლს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა (განურჩევლად სქესისა) კრება საუბნო კომიტეტის ასარჩევად.

II. პარასკევს, 14 აპრილს საღამოს 7 საათზე

ქართულ განკის შენოგაში

(ლორის მელიქოვის ქუჩა. შესავალი სამების ქუჩ.)

მოხდება II უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა (განურჩევლად სქესისა) კრება საუბნო კომიტეტის ასარჩევად.

III. შაბათს, 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე

ქართულ განკის შენოგაში

(ლორისმელიქოვის ქ. შესავალი სამების ქუჩიდან)

მოხდება მე-III და მე-IV უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა (განურჩევლად სქესისა) კრება საუბნო კომიტეტის ასარჩევად.

გადაყენებული უნდა იქმნანო. ამასთანავე მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ამიერ კავკასიის კომისარიატს სავალდებულოდ გახადოს, რომ პოლიციის მოხელეებად ნამყოფები არჩეული არ იქმნას თანამდებობაზე,

ნაუანდარმალების ბედი. მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა ღონისძიება იხმაროს, რომ ჟანდარმებად ნამყოფები ჯარში არ გაგზავნონ, არამედ აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლონ.

უვარგის მილიციონერთა დათხოვნა. თბილისის მილიციის კომისარიატმა რამდენიმე უფროსი და უმცროსი მილიციონერი გადააყენა თანამდებობიდან. ამის თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ მილიციონერთა შორის მოჰყოლიან ჯიბგირები, მაქანკლები, ინ. ლიდები და სხ. მილიციანდათან განახლდება, ასე რომ ახლო მომავალში, იმედი აქვთ მთელი მილიციანდო პირებისაგან იქნება შემდგარი.

სტუდენტთა კრება. დღეს, საღამოს 5 საათზე, ქართულს ბანკში (შესავალი სამების ქუჩიდან) დანიშნულია კრება ქართველ სტუდენტთა კონფერენციის მოსწვევ კომისიისა. ვითხოვთ ყველა ამ კომისიაში არჩეულ პირთ უსათუოდ დაესწონენ. კრება მეორეთაა დანიშნული და რამდენი პირიც უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება.

1-ლ საუბნო კომიტეტის არჩევა. დღეს, აპრილის 13, ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია პირველ უბნის მცხოვრებთა კრება, საუბნო კომიტეტის არჩევნებზე მოსალაპარაკებლად. სთხოვენ მობრძანდნენ მცხოვრებნი 20 წლიდან, განურჩევლად სქესისა. კრება დაიწყება 7 საათზე.

მეტეხის ციხის ტანამბა. მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა რეკვიზიციის წესით ჩაიბაროს მეტეხის ციხის სტანბა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საქმეების საჭიროებისათვის.

გაზ. „ერთობის“ რედაქციის განცხადების თანახმად, მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა, წინადადება მიეცეს ასოთ-ამწყობთ, რომ სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგის სახელით დაარსებულ გაზეთის „ხალხის ერთობის“ სათაური არ ააწყონ.

ფქვილი. გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა 80 ვაგ. ფქვილი მიიღო ჩრდილო კავკასიის კომიტეტისაგან. კომიტეტი ამ ფქვილს ამ დღეებში გაგზავნის დანიშნულებისამებრ.

თელავი

როგორც გადმომცეს, ძველი გავაზის მამასახლისი დათა ხუციშვილი და მისი მწერალი სანდრო გოგიძე, დაუტუსაღებია სოფელს როგორც ომში წასულთ ოჯახების მხვედრ ფულის გამფლანგველები, მაგრამ მეორე დღესვე გაპარულან ორივე, მათზე მიჩენილი ყარაული ალექსა ჭიჭიბოშვილის და მამასახლისის ნათლი მამა სტეპკო ჯანელიძის შემწეობით, რომლებიც მაშინვე დაატუსაღეს.

ქართული სატეხნიკო საზოგადოება

რუსულ სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარეს სერგეი თეოდორეს ძე ზავალიშინს.

ძველი წყობილება ყოველგვარ საეროობა და სამრეწველო მოქმედებას ბორკავდა და ამით ქართული მრეწველობა უკან ჩამორჩა. ქართველმა ინჟენერებმა და ტეხნიკოსებმა გავითვალისწინეთ რა ეს მდგომარეობა, დაგვაარსეთ ქართული სატეხნიკო საზოგადოება. მიზანი ის არის, რომ ხალხს დავუახლოვდეთ, სამშობლოს მრეწველობა განვავითაროთ და სატეხნიკო ცოდნა გავავრცელოთ. პირველი საზოგადო კრება სატეხნიკო საზოგადოებისა მოგესალმებათ თქვენ, როგორც უფროს ძმას, რუსულ ტეხნიკურ საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარეს და იმედს გამოსთქვამს, რომ საერთო და მეგობრული შრომა ხალხის ტეხნიკურ დახმარებას უზრუნველჰყოფს ახალ წყობილების მეოხებით და ეს შრომა სწორისად და სწრაფად გადასწყვეტს ტანჯულ სამშობლოს საჭიროებებს.

ქართველი ეგრაელნი და საქართველოს ავტონომია

(ცნობა ონიდან)

14 მარტს ონის (რაჭაში) ებრაელების რაბინ დავით ბააზოვის მეთაურობით მოხდა დ. ონში ადგილობრივ შეგნებულ ახალგაზდა ებრაელთა კრება ბ. ა. ჩაჩაშვილის თავმჯდომარეობით. რაბინმა ბააზოვმა დაუსურათა კრებას ძველი რეჟიმის უსამართლობა ებრაელებისადმი და მიუთითა ძმურ დამოკიდებულებაზე, რომელიც სუფევს საქართველოში ქართველებსა და ებრაელებს შუა. კრებამ მოითხოვა აუცილებლად საქართველოსთვის სრული ავტონომია, სადაც ებრაელთ ექნებათ სრული შვება და თავისუფლება. კრებამ ერთხმად დაადგინა მიმართოს ქ. პეტროგრადში ებრაელების დეპუტატებს, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ კადეტთა პარტიაში „მედგრად დაუჭირონ მხარი სამართლიან ქართველი ერის მოთხოვნილებას; როგორც ტანჯულმა ებრაელის ერის შვილმა თანაუგრძნოს ტანჯულ ქართველ ერს და ამით უფრო გააძლიეროს ჩვენში ძმობა და ამხანაგობა!“ დეპეშა იმ დღესვე იქმნა გაგზავნილი.

სალამი მუშაკს

(მოხე ჯანაშვილს)

სამშობლოს განახლების დასაწყისს ქართველობა სამადლობელ გრძნობებს უძღვნის ყველა მათ, ვინც მთელი თვისი სიცოცხლე, ჯაფა და ენერგია შესწირა საქართველოს აღდგენის დიად იდეიას. აღურაცხველია სამშეუნვარო მარტიროლოგია მშობელი ქვეყნისათვის თავ-დადებულ მებრძოლთა, გამოუთქმელია ის გლოვა და მწუხარება, რომელიც წილად ჰხდომიათ ივერიის ერთგულ შვილთ! სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული ამოქმედებდა მათ, ანიჭებდა ცხოველმყოფელ ძალასა და დაუშრეტელ შემოქმედებას! თვის წინაპართა საქმენი სახელოვანი უთხრობდა შთამომავლობას მისაბაძ მაგალითებს.

საქართველოს თავისუფლების მებრძოლთა აღზრდაში უცვლელელი ლვაწლი მიუძღვისთ იმ უჩინარ მუშაკთ, რომელნიც დაუღალავად ფურცლავენ ერის განვლილ ცხოვრებას და შეძლებას გვაძლევენ ამოვიკითხოთ მასში სამარადისოდ მიბარებულ წელთა ანდერძი. ქართველი ხალხის წარსულ ცხოვრების მკვლევარნი ამცნობენ თანამედროვეთ ერის განვითარების და ზრდის საუცხოვო სურათებს, რათა წინაპართა შეუპოვრობით გამხნევებულნი, მეტის აღფრთოვანებით შევუდგეთ მამულის განდიდებას.

გუშინ-წინ 10 აპრილს შესრულდა 20 წელიწადი, რაც ჩვენი მცხოვანი მემატიანე, მოსე ჯანაშვილი განაგებს სიონის საეკლესიო მუზეუმს, უდგას სათავეში იმ დაწესებულებას, სადაც ინახება პირუთვნელი მოწმობანი საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის ყოფილ სიმდიდრისა და სიმშვენიერისა. ამ დარგში სამსახურით და შრომით, რასაკვირველია, არ იფარგლება გამოჩენილ ინგილოს მოღვაწეობა: მოსე ჯანაშვილის მნიშვნელობა, როგოლც ისტორიკოსისა და ლინგვისტისა, დიდია, და მისი ღირსეულად განხილვადაფასებისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა დრო, რომ გაკვრით მაინც აღინიშნოს ის უთვალავი გამოკვლევანი და ნაწერები, რომელიც ჩვენს მეცნიერს გამოუქვეყნებია თითქმის 40 წლ. განმავლობაში.

ღარიბი იყო ყოველი მხრივ მუზეუმი, როდესაც მოსე ჯანაშვილმა დაიწყო იქ მუშაობა: 366 ხელთნაწერი და ძველ-კაზმული წიგნი, 938 სიგელი და 55 სხვა გვარი ნივთები—აი, სულ რაც მოიპოვებოდა სიონის მუზეუმში, დღეს კი მისი გამგის განუწყვეტელ მუშაობის და მუყაითობის მეოხებით შეიცავს: 1116 ხელთნაწერს და ძველ წიგნებს, 1017 სიგელს, 184 საეკლესიო შესამოსელს, 120 ბარძიმ-ჯვარს, 142 ხატსა და სურათს, 105 ქვის საგანს, 215 ძველ თეთრს და სხვ... მუზეუმს აქვს ოცამდე გამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე, რომელნიც ნათელ-ჰყოფენ ჩვენი ეკლესიის სხვა და სხვა საკითხებს. ამ გამოცემათა შორის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სამ ტომიან „ეკლესიის მუზეუმის ხელთ-ნაწერების აღწერილობას“, რომლის გავრცელებით სიონის საეკლესიო საცავს სახელი მოეხვეჭა რუსეთში და საზღვარგარეთაც, ვითარცა საუცხოო და იშვიათ საუნჯეთა შემნახველს. პროფესორი ივ. სოკოლოვი სწერდა ამ სამი წლის წინად, რომ მუზეუმის მეცნიერული მნიშვნელობა ფრიად დიდია. შეუძლებელია ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა საქართველოს ეკლესიის დარგში, უკეთუ არ ვისარგებლებთ იმ ქართულ ხელთ-ნაწერებით, რომელნიც ასე უხვად აქვს წარმოდგენილი მუზეუმს. რა საკითხსაც უნდა შეეხოს მკვლევარი, მან უსათუოდ მუზეუმის მანუსკრიპტებს უნდა მიმართოს, და ესეც არა კმარა: მუზეუმის ხელთ-ნაწერები არკვევენ ბუნდოვან საკითხებს აგრეთვე ბიზანტიის ეკლესიის ისტორიისას.

დღევანდელი პირობები არ გვაძლევენ საშუალებას საფუძვლიანად შევეხოთ ჩვენის მუზეუმის მნიშვნელობას ქართველ ერის თვითგამორკვევაში. ხელ-შეწყობი პირობები აღდგენილ საქართველოში ღირსეულად დაიფასებს ამ შესანიშნავ დაწესებულების ღვაწლს საქართველოს სამკვიდრებელის შეკრებაში. ეს ახლო მომავალი ჟამი აუწყებს განთავისუფლებულ ერს, რომ წყვდიადით მოცულ ტირანის ხელმწიფობაში არსებობდა საქართველოს დიდების და უძლეველობის უტყუარი გამომხატველი—მშვენიერი სიონის მუზეუმი—სადაც ჟანგით შეპმული ძველის-ძველი ჭურჭელნი, თუ ხავსმოკიდებული დოკუმენტები და სიგელები მჭერ-მეტყველურად ღაღადებენ ქართველი ერის კულტურულ შემოქმედებას.

ესევე დრო აღბეჭდავს მუზეუმში მშრომელთ, რომელთა სათავეში მოექცევა ღრმად პატივცემული მოსე ჯანაშვილი. მისი დაუღალავი შრომა მუზეუმში არის ლოღიკური დაგვირგვინება მისივე დიდი ხნის მეცნიერული მოღვაწეობისა. გამოჩენილი ისტორიოგრაფი ისე შესთვისებია და შესისხლხორცებია მუზეუმს, რომ ერთი მეორისაგან არც კი განცალკევდება.

ოცი წლის მუდმივმა მუშაობამ ვერ მოქანცა ჩვენი მკვლევარი: სამოცი წელს გადაცილებული იგი დღესაც ყმაწვილური გატაცებით შრომობს და ამშვენებს მუზეუმს; სიყვარულით ეპყრობა ყოველ ნივთს, ფურცელს, პერგამენტს...

ბობოქრებულ ცხოვრების ტალღებში იშვება ახალი თავისუფალი საქართველო! მისნი ერთგულნი შვილნი დღეს იბრძვიან სამშობლოს აღსადგენად! ახმაურებულ ერს ქუჩაში გადაეყვა მოქმედება... იქ კი მუზეუმის კედლებს შუა მოხუცი აგროვებს და ამეტყველებს საქართველოს ყოფილ დიდების ნიმუშებს და აწვდის ქუჩაში მებრძოლთ სახელმძღვანელოდ.

რ. ინგილო.

მოვითხოვოთ და მოვითხოვონ ავტონომია

„რუსეთის უწყებების“ მე-70 №-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა სომხების ეროვნული ბიუროს სახელით:

„თბილისი მარტის 27 ს სომხების ეროვნულმა ბიურომ დაუგზავნა სომხების კომიტეტებს შემდეგი დადგენილება: ამ ჟამად არავითარი ეროვნული მოთხოვნილების წამოყენება საჭიროა არ არის. პირველი საგანი ამა წუთისა სომხებისათვის არის ყოველი ღონისძიებით ხელის შეწყობა არსებულის სახელმწიფოებრივის წყობილებისა, აუცილებელია ყოველნაირი მსხვერპლი მტერზე საბოლოვოთ გამარჯვებისათვის, რადგანაც ომში დამარცხება გამოიწვევს ჩვენი ძველი წყობილების აღდგენას“.

ამას ჰქვია—„ძაღლსა სცემდენ, რძალს ასმენდენო“.

ვისაც ყურთ ესმის და გონება უჭრის, იმისთვის ცხადია, ვის ყანაში ისვრის კენჭს ჩვენი ისტორიულათ განუყრელი მეზობლების და მოკავშირეებათ ყოველთვის სასურველ სომხების ეროვნული ბიურო.

ვარწმუნებთ ამ ბიუროს, რომ უკრაინლებს, ლიტველებს, ბელორუსებს და ლატიშებს, მის (ბიუროს) წევრებზე ნაკლებ არ უყვართ რუსეთი, მისს წევრებზე ნაკლებ შეგნებულნი არ არიან, მაგრამ ეროვნულ მოთხოვნილებებს უფრო მხნეთ, უფრო შეგნებით და უფრო ერთობით ურდგენენ განთავისუფლებულ რუსეთის დროებითს მთავრობას, ვიდრე ამას შესძლებენ ის ხალხები, რომელთაც დღეს სათავეში მოქცევიან სულ სხვა ტკივილებით შეპყრობილნი ადამიანები.

ცალკე ერთაგან ავტონომიის მოთხოვნა ან ამ მოთხოვნის ყურადღება დროებითი მთავრობისაგან, ერთი ასათ უფრო გაამრავლებს გარეშე მტრისაგან რუსეთის თავდაცვის საშუალებებს, რადგანაც, უკრაინა, ბელორუსები, ქართველები და სხვ. ვინც ავტონომიას მოითხოვენ, როცა დრ. მთავრობისაგან დაიმედებულნი იქნებიან მათის სურვილის ასრულებაზე, მარტო ზედმეტ ცოცხალ ძალას, ზედმეტ ნივთიერ ქონებას კი არ მიაწოდებენ სახელმწიფოს, არამედ ქუდზე კაცის გაყვანით, უკანასკნელი ლუკმის შუაზე გაყოფით დაეხმარებიან საერთო სამშობლოს—რუსეთს, რადგანაც რუსეთის სიცოცხლე იქნება მათი საერო სიცოცხლის თავდები ავტონომიურს საზღვრებში, ხოლო რუსეთის დამარცხება კი მათივე იმედებისა და იდეალების დასამარება.

შემდეგშიაც რუსეთი ყველა იმ ხალხებისათვის, რომელთაც ავტონომიას მისცემს, იქნება არა მარტო საერთო სახელმწიფო, არამედ სათაყვანებელი საგანი, როგორც მათი აღმადგენელი. ყოველი ავტონომიამიღებული ერი შესწირავს რუსეთს საჭიროების დროს არამარტო თავის ნივთიერ ქონებას, არამედ სულსა და გულსაც, იქნება მტერი მისი მტრებისა და მოყვარე მისი მოყვრებისა. ტვინს შეასხამს მისს მტრებს, ოფლს დაღვრის მისი მოყვრებისთვის.

მაშ ვისაც გეკუთვნისთ და ჯერ არ მოგითხოვიათ, მოითხოვეთ ავტონომია სხვებთან და ჩვენთან ერთად, მოითხოვეთ, სანამ გვიან არ არის!

ძალა ერთობაშია. ერთობა კი საჭიროა, როგორც ერთი ერის წევრთა შორის, ისე ერთა შორისაც!

ილია ჭყონია.

ქართველ კათოლიკეთა პრეგა

1917 წლის 4 აპრილს ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის სკოლის დარბაზში მოწვეულ იქმნა ქართველ კათოლიკეთა კრება ქართულ ტიბიკონზე დაბრუნების და თბილისში ქართველ კათოლიკეთა საკუთარი საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის შესახებ. კრება გაიხსნა საღამოს 6 საათზე, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მაცა დამიანე საკაკაშვილი, მდივნად დ. შამინაროვი. **მ. დამიანემ** წაუკითხა კრებას მოკლე ისტორიული მიმოხილვა ქართველ კათოლიკეთა შესახებ. მან აღნიშნა, რომ თუმცა დადგა მოხერხებული დრო ქართული ტიბიკონის დაბრუნებისა, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ საეკლესიო კანონს, რომელიც ამბობს, რომ „თავისი ნებით ერთ ტიბიკონიდან მეორეზე გადასვლა აღკრძალულია“; ასე რომ ჩვენი მიზნის მისაღწევათ საჭიროა რომის პაპის თანხმობაო. მ. დამიანეს მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი ქართულ ტიბიკონზე გადასვლის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. ოცხელმა, პ. მეფისაშვილმა, გ. გოკიელმა და სხვ. ორატორებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ახალციხის მაზრას, რომლის ძალითაც ქარ. კათოლიკენი გამოცხადებულ იყვნენ სომხებად და როგორც ქართველები ისინი, რასაკვირველია, არსად არ იხსენიებოდნენ. ეჭვს გარეშეა, რომ ისინი ქართველები არიან: ამას მოწმობს მათი ენა, ზნე-ჩვეულება და სხვ. მათ მიერ აშენებული ეკლესიებიც ხომ სავსეა ქართულ წარწერებით. როდესაც ტერ-აბრამიანმა სოფ. უჯეს ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ქარ-

თული წარწერა შენიშნა, თავისი აღშფოთება გამოსთქვა: როგორ გაბედეთ და ჩემს დაუკითხავად ქართულად წააწერეთო?! ერთის სიტყვით, მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ ახალციხის მაზრის ქართველი კათოლიკენი, რიცხვით 20,000, სომხებად გამოეცხადებინათ და ამის მიხედვით ახალციხის მაზრა საქართველოსთვის ჩამოეშორებინათ. კრებამ გადასწყვიტა, თვით ქართველმა კათოლიკეებმა გასწიონ ახალციხის მაზრაში სათანადო პროპაგანდა, რათა ბოლო მოეღოს ამ უსამართლობას. უკვე ჩაეწერა რამოდენიმე კაცი ამ გვარ სამუშაოს გასაწევად.

საჭიროა, რასაკვირველია, ამისთვის თანხა. კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ფონდი, რომელსაც უკვე ჩაეყარა საძირკველი. ყველა დამსწრეთაგანმა გამოიღო თავისი წვლილი, და უკვე შეკრიბეს 550 მან.

ამის შემდეგ კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ქართულ ტიბიკონის აღდგენა.

რომ კათოლიკეთა წირვა-ლოცვა საქართველოში ქართულ ტიბიკონით სწარმოებდა, ამას მოწმობს, როგორც მ. ალოიზ ბათმანიშვილმა მოახსენა კრებას გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მრავალი საბუთები. ასე რომ—ქართულ ტიბიკონის აღდგენა შესაძლებელია. შესაძლებელია აგრეთვე ქ. თბილისში ქართველ კათოლიკეთა **საეპისკოპოსო კათედრის დაარსება**, რაც კრებამ ერთხმად გადასწყვიტა. ხოლო საჭიროა, ამის შესახებ რომის პაპას გაეგზავნოს პეტიცია ქართველ კათოლიკეთა სახელით. ან. მეფისაშვილი მოითხოვს, რათა პეტიციით მიმართოს რომის პაპას აგრეთვე სამღვდელოებამ. ამისთვის საჭიროა ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოება შეიკრიბოს, შესაფერი დადგენილება გამოიტანოს და შეუერთოს თავისი ხმა მრევლის დადგენილებას. ამ გვარად, ქუთაისის ქართველნი კათოლიკენი მოითხოვენ: 1) ქართულ ტიბიკონის აღდგენას და 2) ქ. თბილისში საეპისკოპოზოს კათედრის დაარსებას. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს თბილისის ქართველ კათოლიკეებმაც. კრება მოხდება აგრეთვე ქართველ კათოლიკეთა სხვა ცენტრებში, საიდანაც გამოგზავნილ იქნებიან თბილისში წარმომდგენილნი, რომელნიც საბოლოოდ გადასწყვეტენ ქართველ კათოლიკეთა საკითხს. ქუთაისიც გაგზავნის თავის წარმომადგენლებს, ხოლო მათი არჩევა შეუძლებელი იყო 4 აპრილს მცირე რიცხოვან კრებაზე (სულ დაესწრო 60 კაცი.) დასასრულ, კრებამ აირჩია ბიურო 11 კაცისგან, რომელსაც ევალება ქართველ კათოლიკეთა საკითხის ყოველ მხრივი დამუშავება და აგრეთვე ტექნიკური მხარეც: კრებების მოწვევა, შემოწირულების მიღება და სხვა. არჩეულ იქნენ: მ. დამიანე საკაშვილი, მ. ალოიზ ბათმანიშვილი, პ. მეფისაშვილი, ი. ოცხელი, გ. გოკიელი, ან. მეფისაშვილი, ს. ხოჯევახიშვილი, შ. კოკოჩაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი. („ჩვ. მეგ.“)

თბილისის გუბ. სახალხო მასწავლებელთა კავშირის დელეგატების კრება

კრება დაიწყო 7-ს და დამთავრდა 9 აპრილს. თავმჯდომარეობდა ვარ. ბურჯანაძე. კრებას დაესწრნენ კავშირის 12 ფილიალ განყოფილების 97 დელეგატი და აგრეთვე 200 მასწავლებელი სათათბირო ხმით. ამიერკავკასიის კომიტეტის მხრივ კრებას მიესალმა აკაკი ჩხენკელი. მადლობა გამოუცხადეს მას კრების მხრივ და შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვეს ვარ. ბურჯანაძემ, გ. ნაკაშიძემ და ვ. ჯაფარიძემ. კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

1) მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს მინისტრთა თავმჯდომარეს თავ. ლვოვს, განათლების მინისტრს მანუილოვს, კარლო ჩხეიძეს, ამიერკავკასიის კომიტეტს და სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირს.

2) თანამდებობიდან გადააყენოს სამოსწავლო ოლქის შემადგენლობა და თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექცია. 3) დაატუსაღოს სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი სლავინსკი და დაბეჭდოს უკანასკნელის ბინაზე ის ოთახი, საცა საქმის ქაღალდებია მოთავსებული (კანცელარია სამოსწავლო ოლქისა უკვე დაბეჭდილია). 4) არ ჩეული იქმნას საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალოს ჩაიბაროს დირექციის საქმეები და დროებით ხელმძღვანელობა გაუწიოს სახალხო სკოლებს. ამ კომისიაში აირჩიეს კ. არბელაძე, ვ. ჯაფარიძე, ი. მარჩენკო, პ. ჩარექოვი და დ. ტერ.-გრიგორიანცი. 5) მთელი თბილისის გუბერნია გაიყოს ეროვნული მოსახლეობის კვალობაზე რამდენიმე რაიონად და ამა თუ იმ ეროვნების სკოლების რაოდენობის მიხედვით დაინიშნონ სამოსწავლო ინსპექტორები. ამ დადგენილების 2 თვის განმავლობაში შესრულება მიენდოს ზემო მუხლში აღნიშნულ კომისიას. 6) სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეთა არჩევა მიენდოს ამავე სკოლების მასწავლებელთა კრებას, რომელსაც მოიწვევს კავშირის გამგეობა. 7) მასწავლებლებს მიემატოს ჯამაგირები: მიმდინარე წლის 1 იანვრიდან თითოს დაენიშნოს წლიურ ძირითად ჯამაგირად 1.440 მან. და ამას გარდა მიეცესთ ომიანობის გამო წლიურად 480 მან. და 5 წლის ნამსახურობისა 20 პროცენტი. 8) სკოლებისა და სწავლის გაერთიანებისათვის ყველა სკოლა დაექვემდებაროს განათლების მინისტრს. 9) ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კომიტეტს უკანვე თავიანთ ადგილებს დაუბრუნოს ჯარში გაყვანილი მასწავლებლები და ახლად გაწვეულებს ნუღარ წაიყვანენ. 10) ეხლავე დაითხოვონ საზაფხულო არდადეგისათვის მოსწავლეები და მასწავლებლებს დაევალოსთ ამ ხნის განმავლობაში მოაწყონ საღამოს კურსები და საკვირაო და მოძრავი სკოლები. საერთოდ მასწავლებლებმა უნდა მოამზადონ ხალხი დამფუძნებელ კრებისათვის. 10) ეთხოვოს თბილისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს და მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომ თითო მათგანმა ორ-ორი დელეგატი მიიღოს მასწავლებელთა კავშირის მხრივ. 11) პროტესტი გამოეცხადოს მასწავლებელ დანელიას გაზ. „ვოზროჟდენია-“ში მის მიერ მოთავსებულ წერილის გამო შესახებ იმისა, ვითომც მასწავლებელთა დელეგატების კრება უკანონო იყვეს. 12) მასწავლებელთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ ვ. ბურჯანაძე და გრ. ბუსლაევი. 13) კრებამ დაავალა ფილიალ განყოფილებებს გააფართოვონ თავიანთი მოქმედება და აგრეთვე თავიანთი წარმომადგენლები იყოლიონ ადგილობრივ კომიტეტებში.

წერილი დონის როსტოვიდან

თანამედროვე რევოლიუციის მიერ შობილმა მდგომარეობამ განსაკუთრებულის სიმწვავით აახმაურა ქართველი ერი. იშვა მომენტი ტრაღიული ხასიათის.

რევოლიუციამ ქართველ ხალხს მრავალი საკითხები წამოუყენა, რომლებიც სერიოზულ პასუხს მოითხოვენ და მთელი ქართველობის შეგნებულ, სოლიდარულ მუშაობას. სულ ერთია, სად იმყოფება დღეს ქართველი კაცი: სამშობლოში თუ რუსეთში, ან საზღვარ-გარეთ, ყველა ქართველის ფიცია დღეს თვის ქვეყნისათვის იზრუნოს, იფიქროს მისი კეთილდღეობის შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის და საქართველოს ყოფნის ნათელი მომავლის მშვენიერ სახის შესაქმნელად იმომქმედოს. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ დონის როსტოვ-ნახიჩევანის ინიციატორობი. მართველობის საერთო კრების მოწვევის დროს, კრება მოხდა კვირას 26 მარტს უნივერსიტეტში. დიდძალმა ქართველობამ მოიყარა თავი. კრების უწყებაში მეტად სერიოზული მუხლები იყო აღნიშნული, როგორც მაგ.: 1) დონის როსტოვ-ნახიჩევანის ქართველობა და რევოლიუცია. 2) მისი დამოკიდებულება საქართველოსთან. აი, ამ რთულ საკითხებზე კრებას თვისი აზრით უნდა გამოეთქვა. ეს ორი მუხლი იყო კრების კამათის უმთავრესი საგანი, მაგრამ საჭიროდ სცნო ამ საკითხების გადაჭრა კომისიისათვის გადაეცა. კრებამ აირჩია კომისია, რომელშიდაც შევიდნენ წარმომადგენლები სამართველოები არსებულ უმთავრეს პოლიტიკურ მიმართულებათა: ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების მასწავლებელი ნ. გოგიტიძე და სტუდ. მ. ღვამიჩავა, ს. ფედერალისტების ბხრით გ. ჯანდიერი და სტ. ა. უსტიაშვილი. ს. რევოლიუციონერების მხრით მასწავლებელი დ. ქინქლაძე და ს.-დემოკრატებიდან ექიმი პ. ჭიჭინაძე და მასწავლებელი სულაქველიძე. კომისიის საქმე იყო ერთი პლატფორმის გამონახვა, ერთი გზის არჩევა სამოქმედოთ. მაგრამ, საუბედუროთ, ასე არ მოხდა.

ს.-დემოკრატების წარმომადგენლებმა შეუძლოდ სცნეს შეთანხმება, ხელი არ მოაწერეს იმ რეზოლუციას, რომელიც გამოტანილი იქნა სამი სხვა მიმართულების წარმომადგენლების კრებიდან.

რეზოლიუცია პირველი:

დროებითს მთავრობას.

„დონის როსტოვ-ნახიჩევანის ქართველი საზოგადოება აღტაცებით ეგებება რუსეთის რევოლიუციას და მის გმირებს.

ნებაყოფლობით რუსეთთან შეერთებული ქართველი ერი თუ ას ჩვიდმეტ წლის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა რუსეთის დიდების შესაქმნელად და მედგარ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში აბსოლიუტურ მთავრობის დასამხობად, დღეს გაასკეცებულის ენერგიით იბრძოლებს რევოლიუციის საბოლოოდ გამარჯვებისათვის იმ ღრმა რწმენით, რომ მომავალი თავისუფალი რუსეთი მოეწყოს დემოკრატიულ პრინციპებზე და ყველა ჩაგრულ კულტურულ ერებს, რომლებსაც თვისი ტერიტორია არ აქვთ, მიეცეთ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, ხოლო იმ ერებს, რომლებმაც შეინარჩუნეს თვისი ტერიტორია მიეცეთ ტერიტორიალურ-ნაციონალური ავტონომია, მაშასადამე, საქართველოსაც“.

ქართველ ერს:

„12 მარტს მომხდარი აქტით აღფრთოვანებული დონის როსტოვ-ნახიჩევანის ქართველობა ულოცავს თვის ამშობელ ერს, დღეს თავისუფალს, 106 წლის განმავლობაში გაძარცულ და მონობაში მყოფ სამშობლო ეკლესიის განთავისუფლებას“.

ფრანც მორიხი.

წერილი ზუგდიდიდან

დღეს, როდესაც ახალმა მთავრობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ძველი რეჟიმი საუკუნოდ მოისპო, რომ შემხუთველი პოლიტიკური ატმოსფერა გაიფანტა და დამყარდა სრული პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თავისუფლება ყველასათვის, განურჩევლად სარწმუნოებისა და სქესისა, ზუგდიდის ქალებმაც ხმა აღიმადლეს და დააარსეს „ზუგდიდის ქალთა წრე“, რომელსაც დაესწრო დიდძალი ქალები, რომლებმაც თავის წრიდან აირჩიეს გამგეობა ცხრა ქალისაგან, სამიც გაამწესეს ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში.

არჩევნების დღეს, 18 და 22 მარტს, ჩვენმა ქალებმა ბევრი უთანხმოება გამოიწვიეს როგორც თავის წრეში, ეგრეთვე „მამაკაცთა“ ჯგუფში, მაგრამ ამას არ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რადგან ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან დაშორებული იყო კულტურულ დაწესებულებას, უფრო მეტად კი ქალთა თანასწორუფლებიანობას, და როცა საზოგადოება გაეცნობა ქალთა წრის არსებობის პრინციპებს და შეითვისებს მის ინტერესების შინაარსს, ფიქრობთ, დღევანდელი მოწინააღმდეგენი სიამოვნებით ხელს შეუწყობენ ამ დაწესებულების ადორძინება-აყვავებას.

მთავარი საკითხი ის გახლავთ, თუ რამდენად შეიძლებს ჩვენი წრე თავის დანიშნულების პირნათლად აღსრულებას; საჭიროა ყველამ, როგორც გამგეობისამ, ისე სხვა წევრებმა შეიგნონ, რომ სწორუფლებიანობის მოპოვება ჩვენთვის იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ქმარშვილი, ჩვენი ოჯახი ღვთის ანაბარად დავაგდოთ; პირიქით, სწოროუფლებიანობა გვავალებს, რომ გავაასკეცოთ ჩვენი ენერგია, უმაღლეს წერტილამდე მივიყვანოთ ჩვენი ხნიჩვეულებები და თანამდროვე ცხოვრების მოთხოვნილებას შევუფარდოთ ჩვენი ცხოვრება-მოქმედება. ჩვენი ვალია საჭირბოროტო კითხვები, ცხოვრებისაგან დაყენებულები, საერთო რჩევით გარდავსწყვიტოთ ისე, როგორც შეეფერება კულტურულ ადამიანებს. უნდა დავაარსოთ საერთო საშუალებებით ბიბლიოთეკები, სკოლები და მოვაწყოთ ყოველკვირეული სახალხო კურსები, რომ ამით ხელი შევუწყოთ სწავლა-განათლების წინსვლას. უნდა შევეცადოთ საერთო ძალით და მოქმედებით, რომ ჩვენმა სოფლის თუ ქალაქის ქალებმა სრული სისწორით შეიგნონ თავისი მოვალეობა მეუღლისა და დედისა.

თუ რა პლატფორმას უნდა დავადგეთ საზოგადო მოღვაწეობისათვის ამას შემდეგს წერილში გავაცნობ მკითხველს. ჯერ კი ვაცხადებთ, რომ ქალებიც ისეთი ადამიანებია, როგორიც მამაკაცები და რომ ქალებსაც იმდენი უფლებები უნდა ჰქონდესთ კრება-არჩევნებში, რამდენიც მამაკაცებს.

ო. რ—ნიძე.

შემოწირულება

ქართულ საქალებო სემინარიის საასარგებლოთ შემოსწირეს: 191 მ. კნ. ნინო სვიმონის ასულმა ანდრონიკაშვილისამ (სიღნაღი ხელის მოწერით შეკრეფილი); **ათ-ათი თუმანი:** პროფესორმა პეტრე მელიქიშვილმა და ყარამან სიმონის ძე კიკნაველიძემ; **ხუთ-ხუთი თუმანი:** სვიმონ ფორაქიშვილმა და ოლღა და ნიკოლოზ ჭრელაშვილებმა (გარდაცვლილ სტუდენტ ქიმერიძის გვირგვინის ნაცვლად), 28 მან. თინათინ ფორაქიშვილისამ (წიგნაკით შეგროვილი); 25—25 მან. ნიკოლ. ჭრელაშვილმა (გვირგვინის მაგიერ), ექიმმა ნ. ა. ჯანდიერმა და მიმა მეუღლემ ალექსი ჭიჭინაძის ხსოვნის აღსანიშნავად, მათისავე ბავშვებ სანდრო, გოგი და რუსუდანისაგან; 20 მან. დეკანოზ ტურიაშვილმა; **თითო თუმანი:** ივანე დავ. ავალიშვილმა, კონსტ. სიმ. ჯაფარიძემ; **ხუთ-ხუთი მანეთი:** კნ. მარიამ ორბელიანისამ; ივანე ნიკ. ყაზიბეგმა, ნინო სვიმ. ანდრონიკაშვილისამ, ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა, ელენე ჭანიშვილმა, ივანე ზურიაშვილმა; 4 მან. ექიმმა ნიკ. ტურიაშვილმა; **სამ-სამი მანეთი:** კნ. მაკა ანდრონიკაშვილისამ, მარიამ წინამძღვრიშვილისამ, ნიკ. გ. ყაზბეგმა, ალექსანდრა შიშნიაშვილისამ, ნიკ. ჩაკუნაშვილისამ, სალომე ნარეკლევის ასულმა, კონსტ. ვაჩნაძემ, ალექს. ნაცვლიშვილმა, ანნა მოსულიშვილისამ, კონსტ. ტყაგაძემ; **ორ-ორი მანეთი:** ოლღა ივანეს ასულმა მირზაშვილ-ჩობაკაშვილისამ, ელისაბ. ანდრონიკაშვილისამ, ნინო ნათაძისამ, მასწავ. ვარდიაშვილმა, მასწ. ანნა თათუბაშვილმა, გიორგ. დაფქვიაშვილმა, ი. ზ. კრაწაშვილმა, მარ. ტყავაძისამ, დ. მირიანაშვილმა, ნინო ჭანიშვილისამ, ივანე კლოტიაშვილმა, ნასყიდაშვილმა, ლუკა მოსულიშვილმა, დ. ნანობაშვილმა, გ. გაბუნიამ, დ. სამადაშვილმა, მასწ. ანა რუხაძისამ, მასწავლებ. ნიკანორიოვიჩმა; 1 მან. და 50 კაპ. ილ. სასაკიშვილმა; **თითო მანეთი:** ნად. თოდუასამ, ეგდოკ. ახმეტელაშვილისამ, ოლ. ბოსტაშვილისამ, დ. ვარდიაშვილმა, ნინო ვარდიაშვილისამ, თამ. გომელაურისამ, დიმ. ნაცვლიშვილმა, ბ. ფიცხელაურმა, უცნობმა, ელისაბედ კობეშავიძისამ, თ. თურქესტანიშვილმა, თ. ჯაფარიძემ, ნ. დეკანოზიშვილმა, თ. ხელაშვილმა, ანა ნათაძისამ, ნ. ახმეტელაშვილმა, ივ. ვაჩნაძემ, თამ. ვაჩნაძისამ, გ. ხატისკაცმა, დ. ზურიაშვილმა, კონსტ. ლომიძემ, ვენ. მირიანაშვილისამ, დან. კოპალეიშვილმა, თომა კვლიშვილმა, მათე ახმეტელაშვილმა, ნინო ხატისკაცისამ, მიხ. მდივანმა, შაქრო ნადირაშვილმა, ტარასიმ, ეკატ. გომიაშვილისამ, თამ. ყაზაზაშვილისამ, ელენე ახმეტელაშვილისამ, ტასო კახიძისამ, მიხ. ბეჟანიშვილმა, ინასარიძემ, მირიანაშვილმა, სალარიძემ, მ. ბერიშვილმა; **ათ-ათი შაური:** საკაშვილმა, ბერიძისამ, მარ. მამიაშვილისამ.

სემინარიის დამხმარე კომიტეტი შემომწირველთ მადლობას უძღვნის.

სოფიო კალანდარიშვილისა.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „საქართველო“.**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20 დღ.
„ „		№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.18 საღ.
თელავისაკენ	№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ
თელავიდან	№ 3,		6.24 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10 დილ

მივიღეთ ფრანგულ აბრეშუმის ჭიის თესლი ცნობილ ფირმებისა

ბერგამეზი

და

ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: **ტ. ს. მირზაიანცს,** თბილისი, განოვის ქ. № 8. ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში.

(10—576—5)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ყველ ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

ლალიძის

და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზრდილია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში ტ. თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული ხრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მახალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ალეგველოვები

ბუშკინის ქუჩა, ხაკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ვაილოვის-ზვინ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ნაზადალა, მცირე მარილიანი, შაური „ზეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **ზამბალი** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე **ახალ-ახალი** მტკვრის ზუთხი, თართი, ფერგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვდე მიღებული ყოველგვარი **კონსერვები** და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ბანგრძელი ინახვენ.

ქარებს (რევმატიზმის),

ნეკრესის

თირკმელების (ჭაჭეების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია **„ურდონალ“**, და მაზი წასასმელი **„ატრო“**, სრულიად უვნებელია და მოქმედებს ძლიერ კარგად. ფასი **„ურდონალისა“** ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი **„ურდონალი“** და ოთხი კოლოფი მაზი **„ატრო“**. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: განყ. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სუსუნატით (ბონორეა)

ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალწლის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას **„რეზუროლინი“**, რომელიც სულ ცოტაპანში არჩენს **გაარჯლებულ** და **ქრონიკულ ხუხუნატს** საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ უველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი **„რეზუროლინი“**. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

„რეზუროლინი“

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის ხაფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კადანლაძისა, გაბაევის შესახვევი № 4